№ 67 ხუთშაბათი, 25 მარტი 1910 წ. № 67

# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება ინახება ერთის თვით [illegible] წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი—დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЕБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ახალსენაკში გარდაიცვალა.

## მღ. სამსონ დიმიტრის ძე კვაჭანტირაძე,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე, შვილები, დები და სიძეები. 27 მარტს დილის 9 საათზე მიცვალებულს დასაკრძალავად წაასვენებენ ძველ-სენაკში.
(1—ფ—1)

## ქართული თეატრი

ორშაბათს, 29 მარტს, მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა გამართავს წარმოდგენას. მ. ნ. გაბუნია-ცაგარლის, მ. მ. საფაროვ-აბაშიძის, ვასო აბაშიძის, კ. ყიფიანის და სხვათა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

## ხათაბალა

კომედია 4 მოქმ. და 5 სურათად გ. სუნდუკიანცისა.

მოთამაშენი: ქ-ნნი ნ. მ. გაბუნია-ცაგარელი, მ. მ. საფაროვი-აბაშიძე, ნ. გამყრელიძე, ვ. ნებიერიძე, ბ-ნნი ვ. აბაშიძე, კ. ყიფიანი, ა. იმედაშვილი, შ. საფაროვი და სხვ.

ადგილების ფასი 1 მანეთიდან ვიდრე 4 მან. გალერეია 25—60 კაპ. ლოჟები 7 მანეთიდან 12 მანეთამდე.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

(4—1) რეჟისორი ვ. აბაშიძე.

## ქართული თეატრი

შაბათს, 27 მარტს, 1910 წელს

### გრიგოლ რობაქიძე

წაიკითხავს ქართულად საჯარო ლექციას ამ თემაზე

### „რელიგია მშვენიერებისა"

(მეხაზებ ოსკარ უაილდის შემოქმედებისა)

პროგრამა ლექციისა:

შესავალი.—ცხოვრება და შემოქმედება.—სიყვარული და უკვდავება.—მხატვრული სახე, როგორც სიმბოლო უკვდავისა და მარადისა.—უაილდის ესთეტიური თეორია.—ზღაპრები უაილდისა.—დრამა „სალომე" (სიყვარული და სიკვდილი)—რომანი „დორიან გრეი" (ტრაგედია მშვენიერი სიცოცხლისა)—ხულიერი დრამა უაილდისა (თხზულება „De profundis") მნიშვნელობა უაილდისა:

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე. (3—ნ.—1)

## სახაზინო თეატრი

ხუთშაბათს 25 მარტს, საღამოს 8 საათზე პეტერბურგელი ლიტერატორი და ლექტორი

### ნ. ი. აბრამოვიჩი

წაიკითხავს მესამე ლექციას

### ადამიანი მომავალში

(ფრიდრიხ ნიცშე)

ხვალ, 26 მარტს წაიკითხავს მეოთხე ლექციას ამ თემაზე:

### „რელიგია მშვენიერებისა და ტანჯვისა"

(ოსკარ უაილდი)

ადგილების ფასი ძალზე დაკლებულია.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. (5—ნ.—5)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და პაიშვ. ყ.-დ [illegible] ხას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. [illegible] ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ.,

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი გ ს. თვალის, ორშ., ოთხშ. და პარასკ. 2 2-ნახ. ს.

ფირბდოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე

პაპოვი გ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყო. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე 9—10 ს.

ხობთლევსკი გ. გ. ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—ნ.—140)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ა. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

გ ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—ნ.—303)

## სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის ძ-ბი ქუთაისში

ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა, მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას. (45—151—37)

## თამბაქოს ფაბრიკა ა. ენფიანჯიანცისა

ამით აუწყებს თავის მუშტარს, რომ ამ ჟამად ახალ მაშინების შეძენითა და ზედ-მეტ საათების სამუშაოს შემოღებით ფაბრიკა ამზადებს დღე-ღამეში

# 1.200.000

ამიტომ ეხლა საშუალება გვაქვს მომავალში თავის დროზე დაუგვიანებლად შევასრულოთ დაკვეთილი საქონელი.

ამასთან ფაბრიკა საჭიროდ სთვლის მიაქციოს პაპიროსის მწეველთა ყურადღება პაპიროს

25 ცალი 10 კაპ. **ეკსტრა** 15 ცალი 6 კაპ.

ეს პაპიროსები თავის განსაკუთრებულ თვისებით ბევრით განირჩევა ყველა სხვა პაპიროსებისაგან, რომლებიც კი მოიპოვება ბაზარზე. ამის დასამტკიცებელი ისიც არის, რომ ეს პაპიროსები მეტად ბევრი ვრცელდება პაპიროსის მწეველთა შორის. (3—გ.—2)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

რიდელი—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარას., კვირა 11—12 საათ.

ბოჟოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

ერმოლაევი—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

გნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

ნოვიცკი—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.

ახვლედიანი—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ საათ.

კალამქაროვი—ებ., ქალ., ყოველდღე, კვირის გარდა 4—5 საათ.

ბალდინა-ნოვიცკაია—ცხვ. ყელ. ყურის. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

ასპიროვი—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.

ფონდოევი—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 4—5 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის შრატით. (100—ნ.—26)

## ექიმი ზ. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—57)

## ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

## შპალერი

8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რულო

### ძმ. ბარნოპოლების

საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.

განყოფილება ტფილისში: გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355.

ფასები საფაბრიკოა.

ნიმუშები უფასოდ. (50—1046—4)

## ექიმი ბაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულიოთ წამლობა ჰლექიანებისა, ელექტროთერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—კვ.—33)

## ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—კვ.—3)

## ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—147)

ქუთაისში

## კბილის ექიმი ა. ა. ბუტულოვისა

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. და საღამოთი 4—7 ს. მოსწავლენი იხდიან ნახევარს. გიმნაზიის ქ., ა. თუმანოვის სახლი, ბულგარის პირდაპირ. 25—კვ.—6

## ივ. გრ. ხალათიანი

იღებს ყოველგვარ, განცხადებას ადგილობრივ და სხვა ქალაქების გაზეთებისათვის.

ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს გაზეთ „დროება"-ს კანტორაში: დიდი ვანქის ქ., № 12. (5—1)

## ექიმი სპეციალისტი ქ. ქუთაისში გ. დ. ბეთანოვი

მიიღებს სიფილისით, ვენერიულის და კანის სენით ავადმყოფებს. აფთიაქის და გლუბის ქ. ქ. კუთხეში N 24/2 ყოველდღე დილის 9—12 ს. და საღამოს 5—8 ს. (25—ფ.—22)

## კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—131)

## ექიმი ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

## ექიმი ა ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი ჯაბაშვილისა. (უ)

## ექიმი დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

## ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—90

## ექიმი კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—ნ.—46

## ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—396)

## ექიმი ქუთაისში ფ. ი. გასნევსკი

იღებს ავადმყოფებს შინაგან სნეულებათა და ბებიაობისას დილით 11—1 საათამდე, საღ., 5—7 საათამდე. გაზაკოვის ქ. N 13. ღარიბებს უფასოდ. (25—კვ.—15)

## ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

## სახალხო უნივერსიტეტი

9 აპრილს სახაზინო თეატრში არის

### ლექცია

ექიმ

### გ. ვ. სოზოლევსკისა

### „მოგზაურობა შუა-გულ აფრიკაში. კონგო"

ფასი ადგილებისა დაკლებულია. ბილეთები იყიდება სამეურნეო საზოგადოების შენობაში (ბარიათინსკის ქ. № 5). (4—ნ.—1)

დაიბეჭდა და იყიდება ქართულ ენაზე ჰერგარტ ჰაუპტმანის ცნობილი დრამა

## ფეიქრები

თარ. ივ. ახალშენიშვილის მიერ

წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და პ. კოგანის კრიტიკული განხილვა. ეს დრამა ბერლინის თეატრებში ხამი წლის განმავლობაში ორასჯერ დასდგეს. დრამის შინაარსი აღებულია ახლო საუკუნის ორმოციან წლების გერმანიის მუშათა ცხოვრებიდან.

წიგნი ღირს 50 კაპ.

მთავარი საწყობი წიგნისა არის მაღაზია „ალიონი"-ს გამგე ვ. გადილიასთან.

პროვინციაში მსურველთ წიგნი გაეგზავნება ჩვენი ხარჯით. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Кирочная ул. N 9. Василію Гадилія. (10—8)

## სახალხო უნივერსიტეტი

კვირას, 28 მარტს, ზუბალაშვილების სახალხო სახლში

### პ. ა. გორბაჩევი

წაიკითხავს ლექციას:

### „ფუტკრის ოჯახის ცხოვრება"

დასაწყისი დილის 11 საათზე.

ფასები 5 კაპ. 10 კაპეიკამდე.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. (2—1)

პეტერბურგში აპრილიდან გამოვა ყოველთვიური სურათებიანი ჟურნალი

## „ЗАЩИТА ЧЕЛОВѢКА"

(ადამიანის დაცვა)

მონაწილეობას მიიღებს ლ. ნ. ტოლსტოი

პირველ ნომერში მოთავსებული იქნება კირიონ ეპისკოპოსის სურათი და სტატია ქუთაისის გიმნაზიაში მომხდარ ინციდენტის შესახებ.

ფასი წლიურად 1 მან. 50 კაპ., ექვსი თვით 80 კაპ. ხელის მოწერა მიიღება—Петербургъ, Бронницкая, N 13. Журналъ „Защита Человѣка."

(5—3) რედაქტორი მ. ბოლქვაძე.

## დღიური

### კიდევ გამრუსებლები.

შეჩვეული ჭირის დატოვება მეტად ძნელი ყოფილა. ჩვენებური, გამრუსებლები თავის მაინც ანგელოზს მტკიცედ მოჰყვებიან და არ უნდათ უარჰყონ გამრუდებული გზა. ახლანდელი დრო ისეთია, რომ უთუოდ უნდა გამოაფხიზლოს ქართველი ადამიანი, აჩვენოს ნათლად, რომ ჩვენი საზოგადოებისთვის აღორძინება შეიძლება მხოლოდ როგორც ეროვნული აღორძინება, დაარწმუნოს შეურყევლად, რომ ფასი აქვს მარტოოდენ შინაგანს შეგნებას და ღირსებას. მაგრამ არიან ადამიანები, რომელთათვისაც არავითარი ბუნებრივი კანონი არ არსებობს, რომელთაც თითქოს სისხლში აქვთ შერეული ბოროტება, თითქოს მათი სული განუყრელია გამრყვნელობისაგან და არსებობა—გამცემლობისაგან.

საკვირველი ამბავია! როგორც ძლიერდება გარედ გამრუსებელი პოლიტიკა და შავრაზმელებმა და ოქტომბრისტებმა ლამის გადალახონ ყოველგვარი ზნეობრივი დაბრკოლება და შავი ჭირივით მიესიონ არა რუსებს, ამგვარადვე ვითარდება ჩვენს საზოგადოებაში გადარჯულებული მიმირთულება და სხვა და სხვა სათაურით შედის კერძო თუ საზოგადო ცხოვრებაში, ქართული ეროვნული პიროვნება იჩაგრება, სული მმოძრავი ჩლუნგდება, ძალა თავისუფლებისა სნეულდება, ჰაერი იწამლება და ცხოვრება საშინელი ხდება. აღარსად რჩება კუნჭული სულის მოსათქვამად: რუსული წიგნი, რუსული ლექცია, რუსული პიესა, რუსული სკოლა, რუსული გაზეთი, რუსული ეკლესია, რუსული ოჯახი, ყველგან და ყოველთვის რუსული მსჯელობა და აზროვნობა, საით უნდა გაიქცეს ადამიანი და რის უნდა მომართოს?

იმას ნაცვლად, რომ ყოველი საშუალება ვიხმაროთ ეროვნულ კულტურის გასაძლიერებლად, რომ ყოველს დარგში მოვიპოვოთ ძალა წინააღმდეგობის გასაწევად, პიროვნების დასაცავად, ჩვენ მხარში ვუდგებით პურიშკევიჩის—მარკოვებს და საკუთარის ხელით ვიხშობთ სინათლეს, თვით მოვდივართ უფსრულისაკენ. გაძლიერდა გარუსებული ინტელიგენცია, რომელიც წინად თავის კერძო საქმეებს მისდევდა და ბიუროკრატიულ ასპარეზზე დაწინაურობას ცდილობდა, ახლა იგი ამას აღარ სჯერდება, იმიტომ თუ, რომ მთავრობა გარუსებულ ქართველებსაც უნდობლად ეპყრობა, ან იმიტომ, რომ პოლიტიკოსობის და განდიდების სახელმა გაიტაცა, და ეტანება ქართულს საზოგადო საქმეებს, ეტანება მთელი თავის სახით, რწმენით, მიდრეკილებით და უნდა, რომ ყველაფერს თავისი დაღი დაასვას, თავისი გახრწნილი სული ჩაუბეროს, გადაგვარების გზაზე დააყენოს.

სამწუხაროდ, ამ გარუსებულმა მოღვაწეებმა ნიადაგი ჰპოვეს ჩვენს მონობით აღზრდილ საზოგადოებაში, არავინ მათ არ წინააღუდგა, მრავალმა მხარი დაუჭირა. გამრუსებულნი ინტელიგენტი ქართველები მოურიდებლად შედიან ქართულს ოჯახსა და საზოგადოებაში, აარსებენ რუსულს გაზეთებს, რომლებიც უძლიერესი იარაღია მათი მოქმედების და გავლენის გასაფართოვებლად. რუსულ გაზეთთან ერთად შედის ქართველის ცხოვრებაში რუსული ბაასი, რუსული მსჯელობა და გრძნობა, რუსული ენა და ენასთან მჭიდროდ გადაბმული რუსის სულიერი აგებულება და ყოველივე ეს სპობს ქართულს პიროვნებას; იბადება გადაგვარებული სახე, გადარჯულებული ტიპი, რომელიც ითხოვს ბატონობას საქართველოში, ქართველს ერში. ქართველი ერი,—ეს მე ვარო, ამბობს გადაგვარებული, ახლად მოვლენილი მამულიშვილი, ამბობს რუსულად და მოუწოდებს სამშობლოს, რომლის სახელის ქართულად წარმოთქმა აღარ ეხერხება...

შეუძლებელია გულ-გრილად შევცქეროდეთ ასეთს ამბებს! საჭიროა საერთო ამხედრება, სასტიკი ბრძოლა, სანამ ბოროტება ძლიერ არ განვითარებულა, თორემ გვიან-ღა იქნება. განდევნეთ გამარუსებელნი ინტელიგენტები ჩვენი საზოგადო საქმეებიდან, შორს გადატყორცნეთ მათი დაბეჭდილი გაზეთები. გარყვნილება შემოაქვთ ჩვენს საზოგადოებაში, უძლურება და გადაგვარება. გარეშე მტერიც მრავალი გვყავს და შინაურებსაც ნუ გავიჩენთ. სირცხვილი იმას, ვინც გვერდში ამოუდგება გადაგვარებულებს და მით მონაწილედ შეიქნება საერო საქმის ღალატისა. ნუ თუ ჩვენში არ არის იმდენი ეროვნული თვით-შეგნება და ძალა პიროვნებისა, რომ ავლაგმოთ ეს მტრები, და ჩავახშოთ თავიდანვე? სანამ საწამლავი მთელს სხეულს მოედებოდეს, მანამდე უნდა გამოვრწყოთ. დიდი განსაცდელი ახლავე უნდა ავიცდინოთ თავიდან, ერთს წუთსაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ სულიერი გადაგვარება—დამახინჯება იმგვარადვე საშინელია, როგორც მიწა-წყლის დაკარგვა. თვით იმ ძვირფასს ტერიტორიის დასაცავად, რომელმაც ისე გაგვაცხარა, საჭიროა სული ეროვნული, ძლიერი მთლიანი ეროვნული შეგნება და არა გადაგვარებით დასუსტებული ერი!

მედგარი წინააღმდეგობა და არა ხელის გაწოდება დასახმარებლად—აი მოვალეობა ყოველ შეგნებულ ქართველისა, რომელსაც სამასხაროდ არ მიაჩნია საქართველოს ავ-კარგი. ამიტომ მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ ის ხმები, რომ ტფ. თავად-აზნაურობას მუდმივი შემწეობის დანიშვნა განუზრახავსო ერთის რუსულად დაბეჭდილ ქართულ გაზეთისათვის. თავადაზნაურობის ფული კერძო წოდებრივი საკუთრება არაა, იგი მთელი ერის კუთვნილებაა და მისი დახარჯვა კარგად უნდა იყოს გათვალისწინებული და შეფარდებული ეროვნულ საჭიროებასთან. მიუტევებელი დანაშაულობაა საერო ქონება ერის განვითარების საწინააღმდეგოდ დახარჯოს. ქართველი ერი ღარიბია, ტერიტორიას ეცილებიან სხვები, კულტურა ვერ ვითარდება უსახსრობისა გამო, სკოლა, თეატრი, მწერლობა—ყველაფერი უკიდურეს გასაჭირს განიცდის და ასეთს დროს ყოვლად შეუწყნარებელია რუსულ გაზეთისთვის ხარჯის გაწევა, რომელსაც მხოლოდ ვნება და ვნება მოაქვს ჩვენთვის. ის ათასები, რომელსაც შთანთქავს ჩვენი ეროვნების გამრყვნელი და დამაუძლურებელი რუსული გაზეთი, რომ ქართულ კაზმულ მწერლობის ნაწარმოებთა გამოცემას მოვახმაროთ, მაგალითად, ან სახალხო სკოლებს, ან თეატრს, განა უფრო არ დავაწინაურებთ ეროვნულს საქმეს, უფრო ძლიერი არ შევიქნებით, უფრო არ გავიმაგრებთ ნიადაგს?

ნუ თუ ამისი შეგნება ძნელია?!

**სიტყვა.**

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ოთხი წელიწადია, რაც ბ-ნი კ. ჩხეიძე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად აირჩიეს და ამ ხნის განმავლობაში არც ერთი წერილი არ დაუბეჭდია გაზეთში ისე, რომ ჩვენთვის არ ესაყვედუროს—რატომ არ გვეხმარებით და მასალას არ გვაწვდითო. ჯერ იყო და ამას წინად ათი თუ თხუთმეტი წერილი დაბეჭდა ამ სათაურით „ვისი ბრალია?“ და ვიღაცას რაღაცას აბრალებდა. ეხლა კიდევ „ახალი სხივის“ ორ უკანასკნელ ნომერში ორი უშველებელი წერილი მოათავსა ჩვენს წინააღმდეგ. ამ წერილში ყველაფერია, ისიც, რომ დეპუტატი კაკი წერეთელი შესანიშნავი ორატორი და მოღვაწეა, ისიც, რომ „დროება“ მასალას არ აწვდის დეპუტატებს, ისიც, რომ „დროებას“ არ შეუძლიან მიაწოდოს მასალა, „თუმცა ადგილობრივ კითხვების დარაჯად მოაქვს თავი“, ისიც, რომ ჩვენი დეპუტატები დაუცხრომლად მუშაობენ და, დასასრულ, ისიც, რომ „დროება“ დეპუტატებს „აბეზღებს“ ხალხთან, „აფრთხობს და ხალისს უკლავს“ საზოგადოებას და ამრიგად ხელს უშლის, რომ მან მიაწოდოს რამე დეპუტატებს.

კამათი ყველა ამაზე მეტიც არის და შეუძლებელიც. რაც შეეხება უკანასკნელ აზრს, ვითომ ჩვენ დეპუტატებს „ვაბეზღებდეთ“ და საზოგადოებას „ვაფრთხობდეთ“, პირდაპირ ცილისწამებაა. ვამბობთ და თუ ნებავს ბ-ნ ჩხეიძეს დაუმტკიცებთ კიდეც, რომ ჩვენ არა ერთხელ მოგვიწოდებია საზოგადოება, დახმარება გაეწია დეპუტატებისთვის და საჭირო მასალა ეგზავნა, ხოლო თუ საზოგადოება არაფერს აწვდის, ეს იმიტომ კი არ მოსდის, ვითომ ჩვენ სახელს უტეხავდეთ დეპუტატებს, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი საზოგადოება მუდამ ასეთი დაუდევარი ყოფილა და არის, რაც თვითონ ბ-ნ ჩხეიძესაც ძალიან კარგად მოეხსენება. აი, ამიტომ ვწერდით ამას წინად, რომ საჭირო იყო დეპუტატებს თითონ ეზრუნათ და სპეციალური ორგანიზაცია შეექნათ ადგილობრივ, რომელიც ყველაფერში დახმარებას გაუწევდა მათ. თუ ხალისი აქვს ბ-ნ ჩხეიძეს ლანძღვისა, რამდენიც უნდა ლანძღოს ჩვენი საზოგადოება და ნურც ჩვენ დაგვზოგავს, მაგრამ შევკადრებთ და მოვახსენებთ, რომ ამით არავითარი საქმე არ გაკეთდება და ვერც თავიანთ საქმიანობას დაგვიმტკიცებენ.

რაც შეეხება კერძოთ პარნაუთელებს, თუ რამდენად გული შესტკივათ დეპუტატებს მათვის, სჩანს ამას წინად ჩვენ გაზეთში დაბეჭდილ თავდგირიძის წერილიდან. როდესაც პარნაუთელები სოხუმში დეპუტატ გეგეჭკორისთან მისულან და თავიანთი დარდი შეუჩივლიათ, ამ უკანასკნელს უთქვამს, დასწერეთ რუსულად თხოვნა ჩემ სახელზე და მომართვითო. გლეხები მართლაც გაქცეულან სხვაგან და დაუწერინებიათ თხოვნა. გულშემატკივრობაც ასეთი უნდა!..

* * *

„ტიფ. ლისტ“-ში ბ-ნი ნორდი ამართლებს სახელოვანს მომღერლის ბ-ნ ივ. სარაჯიშვილისას, რომელმაც ქ-ნ კოლხიდელის მიერ გამართულ საღამოში არ ისურვა სიმღერა. ფული არ მისცეს და არ იმღერაო, ბრძანებს ბ-ნი ნორდი. ფული იმავე საღამოს არც სხვა მონაწილეებისთვის მიუციათ, მაგრამ უარი არავის არ უთქვამს. ბ-ნ სარაჯიშვილს მოახსენეს, დღეს ფული არა გვაქვს და ხვალ მოგართმევთო. მან-კი ხვალამდე არ მოიცალა, ეხლავე ჩამიჩხრიალეთო და წავიდა. სხვა არტისტებს ქ-ნმა კოლხიდელმა მეორე დღეს დაურიგა ფული.

* * *

„ახ. სხივის“ მე-40 ნომერში დაიბეჭდა წერილი ქუთაისის მაზრის თავ.-აზნაურთა წინამძღოლის თავ. დავით ნიჟარაძისა. ეს წერილი პასუხია ჩვენი წერილისა. ბოლოში თავ. ნიჟარაძე უმატებს: „ეს წერილი გაუგზავნე „დროების“ რედაქციას დასაბეჭდათ, მაგრამ უარი მიყო და არ დამიბეჭდაო“. ეს მართალი არ არის. ჩვენ წერილიდან გამოუშვით ცოტა რამ, რაც საკამათო საგანს არ შეეხებოდა და რასაც თავ. ნიჟარაძე ჩვენი თანამშრომლის იმერელ ამომრჩევლის შესახებ სწერდა, და დავაბარეთ წერილის მომტანს, ასე დავბეჭდავთო. როგორც ხედავთ, წერილის დაბეჭდვაზე უარი არ გვითქვამს.

რაც შეეხება არსებითად საქმეს, თავ. ნიჟარაძე სწერს, ქუთ. დეპუტატთა საკრებულოს მდივანს დავავალე გამოეგზავნა ფულიო. ქუთაისის დეპუტატთა საკრებულოსაგან-კი ოქტომბერში 1909 წელს ჩვენი დეპეშის საპასუხოდ შემდეგი წერილი მივიღეთ:

9 ოქტომბერს გამოგზავნილ თქვენი დეპეშის საპასუხოდ ქუთ. დეპუტატთა საკრებულო გატყობინებთ, რომ განცხადების ფული 54 მანეთი უნდა მოსთხოვოთ ქუთ. მაზრის წინამძღოლს თავ. ნიჟარაძეს, რომლის თხოვნითაც დაიბეჭდა სია თავად-აზნაურთა. გუბერნიის თავ.-აზნაურთა წინამძღოლი თავ. წერეთელი. მდივანი დ. მდივანი“.

ეს პასუხი მივიღეთ ოქტომბერს, აპრილიდან ოქტომბრამდე-კი რამდენჯერმე მივმართეთ თვით თავ. ნიჟარაძეს, მაგრამ, როგორც ვწერდით, პასუხს ვერ ვღირსეთ.,

# სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპ. სააგენტ.)

**საზღვაო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა.**

23 მარტს სათათბირომ განაგრძო საზღვაო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა. როგორც ვწერდით, საბიუჯეტო კომისიამ გამოაკლო ის თანხები, რომელიც ახალ გემების აგებისთვის იყო გადადებული. კამათი ამის გარშემო ტრიალებდა. მემარჯვენენი თხოულობდნენ ამ თანხების აღდგენას. სამაგიეროდ სავიჩმა (ოქტ.) მოითხოვა, შუამდგომლობა აღიძრას ხელმწიფის წინაშე, რომ საზღვაო სამინისტროს სამეურნეო ნაწილის საქმეების განსახილველად სენატორის რევიზია დაინიშნოს. სათათბირომ მიიღო ეს წინადადება. შემდეგ სათათბირომ მიიღო მთელი ხარჯთ-აღრიცხვა საზღვაო სამინისტროსი საბიუჯეტო კომისიის რედაქციით.

**შეკითხვა და განცხადება.**

წაიკითხეს სოც.-დემოკრატების შეკითხვა. გაკენტალის ქარხანაში მომხდარა მუშების გაფიცვა ეკონომიურ ნიადაგზე. ამ გაფიცვისთვის, 1905 წლის 2 დეკემბრის კანონის წინააღმდეგ, დაუპატიმრებიათ 23 მუშა. შეკითხვა ამ შემთხვევას შეეხებოდა. სათათბირომ უარ-ჰყო შეკითხვის სისწრაფე.

წაიკითხეს 31 დეპუტატის განცხადება. განცხადების ავტორნი თხოულობდნენ, ერთი წევრი ტრუდოვიკებისაგან მიემატოს იმ კომისიას, რომელსაც ფინლიანდიის საკითხი აქვს ჩაბარებულიო. მხარი დაუჭირეს ამ წინადადებას ლიახნიცკიმ, ნეკრასოვმა, გრაფმა უვაროვმა და ბულატმა, მაგრამ სათათბირომ უარ-ჰყო განცხადება.

**სახელმწიფო კანტროლის ხარჯთ-აღრიცხვა.**

შემდეგ სათათბირომ მოისმინა სახელმწიფო კანტროლის ხარჯთ აღრიცხვა. გადადებული ყოფილა 10,196,857 მ. წინა სესიაშიაც და ეხლაც გამოსთქვა სათათბირომ სურვილი, რომ სახელმწიფო კანტროლი სრულიად დამოუკიდებელ დაწესებულებად გადაიქცეს. დღეს სახელმწიფო კანტროლიორი მინისტრთა საბჭოში შედის და ამ საბჭოსაგან არის დამოკიდებული. რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ასეთ კონტროლიორს? სათათბირომ მიიღო ხარჯთ-აღრიცხვა.

მიიღო აგრეთვე ხარჯთ-აღრიცხვა სახელმწიფო კრედიტის საქმის შესახებ, რომელიც გამოანგარიშებულია 406,812,174 მან.

**ბიუჯეტის დამტკიცება.**

დასასრულ, თითქმის სრულიად უკამათოდ მიიღეს სახელმწიფო შემოსავლის აღრიცხვა, და, ამ რიგად, ბიუჯეტის განხილვა დამთავრდა. საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მიღებულ ბიუჯეტით 1910 წლის შემოსავალი აღემატება გასავალს 424,000 მანეთითაო. იმავე თავმჯდომარის ცნობით, მესამე სათათბირომ პირველ სესიის დროს ბიუჯეტის განხილვა დაამთავრა 19 ივნისს, მეორე სესიის დროს—1 მაისს, ხოლო მესამე სესიის დროს, ესე იგი ეხლა—23 მარტს.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 მარტი.

**საზღვარ-გარედ.**

**სოფია.** ბოლგარიის სააგენტო იუწყება: რადგანაც ბოლო დროს ოსმალეთ-ბოლგარიის საზღვარზე გახშირდა მოსაზღვრე ჯარების შეტაკება, ამიტომ ბოლგარიის სამხედრო მინისტრმა ბოლგარიის მოსაზღვრე ჯარის უფროსებს ბრძანება დაუგზავნა, რაც შეიძლება თავი შეიკავეთ და მოუფიქრებლად ნუ იმოქმედებთო. ბრძანებაში, სხვათა შორის, ნათქვამია: მოსაზღვრე ჯარის დანიშნულებაა დაიცვას სახელმწიფოს ფინანსიური ინტერესები, თვალყური ადევნოს კონტრაბანდისტებს. ოსმალეთ-ბოლგარიის მოსაზღვრე ჯარები ერთმანეთის მტრები კი არ არიან, არამედ, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, მოკავშირეები, მათ ერთმანეთს დახმარება უნდა გაუწიონ. როდესაც ოსმალეთის ჯარის-კაცები შემთხვევით საზღვარზედ გადმოვლენ, ეს წინ-და-წინვე განზრახულ მოქმედებად არ უნდა ჩაითვალოს. ასეთი პირები უნდა დაპატიმრებულ იქმნენ და წარედგინონ მოსაზღვრე ჯარის უფროსს. იარაღის ხმარების გამართლება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ოსმალეთის ჯარის-კაცები ბოლგარიის ტერიტორიაზედ განზრახვით გადმოვლენ და ბოლგარიის ჯარს წინააღმდეგობას გაუწევენ. ამისთანა შემთხვევებშიც კი სიფრთხილით უნდა მოიქცეს ჯარიო.

**სალონიკი.** რადგანაც ალბანეთში მოძრაობაა, ამიტომ იპეკის ოლქში სამხედრო წესები გამოაცხადეს.

**პარიზი.** მინისტრ-პრეზიდენტმა ბრიანმა გრძელი სიტყვა წარმოსთქვა. ბრიანი შეეხო მეზღვაურების მოქმედებას და სთქვა: მეზღვაურების მოქმედება უსაფუძვლოა და მისი გამართლება ყოვლად შეუძლებელია. მეზღვაურებმა უსაფუძვლოდ დაარღვიეს გემების პატრონებთან დადე-

# უკანასკნელი დღენი იმერეთის სამეფოსი

1.

**სოლომონ მეორის გამეფება და სამეგრელოს შეერთება რუსეთთან.**

(შემდეგი *)

ამ რიგად, სოლომონ მეფემ განიზრახა, სამეგრელოს მთავრისთვის ფრთების შეკვეცა და ლეჩხუმის სამუდამოდ დასაკუთრება. სოლომონი ფიცხლავ დაეცა ოდიშს, გააძევა გრიგოლი და გაადადიანა მანუჩარი. ლტოლვილმა გრიგოლმა მურის ციხეს შეაფარა თავი ლეჩხუმში. სოლომონი და მანუჩარი ჯარით გამოეკიდნენ, შევიდნენ ლეჩხუმში, შვიდი ციხე-სიმაგრე აიღეს და ისეთი თავზარი დასცეს გრიგოლს, რომ უკანასკნელმა საჩქაროდ კაცები გაუგზავნა და შეევედრა სოლომონს, ოღონდაც ჩემს ძმას ნუ მიემხრობი, შემირიგდი და მთელი ლეჩხუმი ჰყვიშის ციხითურთ შენი იყოსო. სოლომონს ეძნელებოდა გრიგოლთან შერიგება, რადგან არა ერთხელ გამოეცადნა გრიგოლის უპირულობა და იცოდა, რომ შემთხვევა მიეცემოდა თუ არა, უკანვე აგდებდა თავისს პირობებს. ეჭვი არ იყო, გრიგოლმა ასე ადვილად იმიტომ შესთავაზა ლეჩხუმი, რომ მეტად გაჭირვებულს მდგომარეობაში იყო, მეტად დიდი დანაშაული მიუძღოდა სოლომონის წინაშე, მაგრამ რას დაგიდევდა, დააღწევდა თუ არა თავს გაჭირვებას, მაშინვე უარს იტყოდა მიცემულს პირობებზედ. ეს კარგად იცოდა სოლომონმა და მხოლოდ იმიტომ დასთანხმდა, რომ უკეთესად მომზადებულიყო, საკმარისად შეიარაღებულიყო, გაეძლიერებინა თავისი ლაშქარი და საუკუნოდ აეგო ანდერძი გრიგოლის პარპაშობისათვის. სოლომონის მოლოდინი გამართლდა, დიდმა ხანმა არ გაიარა, გრიგოლმა უარი სთქვა თავისს პირობებზე და ლეჩხუმი ჰყვიშითურთ ვეღარ მიართვა სოლომონს.

სოლომონმა დიდი ჯარით გაილაშქრა, იმის ჯარში 8,000 კაცზე მეტი იყო, რომელთა შორისაც იყო საკმარისი რიცხვი ლეკებისა ორის ბელადით მუსათი და ყამათი. მასვე ეშველებოდა გელოვანი და ახალციხის ფაშა, რომელიც დაპირებული იყო, დაიწყებოდა თუ არა ომი, 1000 ჯარის კაცს გაუგზავნიდა[16]). მეფე შეესია ლეჩხუმს, აიღო ჰყვიშის ციხე და დაბანაკდა ლაილაშს, გრიგოლი იდგა უსახელოს. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ბრძოლას ორივე მხრისათვის. ამ დღეს უნდა გადაწყვეტილიყო გრიგოლის ბედი და უბედობა, ამ დღეს უნდა ეჩვენებინა სოლომონსაც თავისი ძლიერება და დაენახვებინა ყველასათვის, რომ ურჩს დადიანს ამდენი ხნის უსიამოვნებას არ შეარჩენდა. ეჭვი არ იყო, რომ სოლომონი გაიმარჯვებდა, რადგან გრიგოლი თითქმის მარტოკა იბრძოდა და არსით მშველელი არა ჰყავდა. ასეც მოხდა: გრიგოლი საშინლად დამარცხდა, სოლომონმა მოაოხრა ლეჩხუმი, მრავალი ტყვე შეიპყრო, მაგრამ გრიგოლი მაინც ჯერ-ჯერობით ვერ განაძევა ლეჩხუმიდან. ის მცირე მხედრობით მიუვალს მუხის ციხეში ჩაიკეტა. გზა მეტად მიუვალი ჰქონდა ამ არწივის ბუდესავით მათის ციცაბზედ მიკრულს ციხეს, იმის ვიწრო ბილიკიანს მისავალს გზებზე თითო კაცი ძლივს გაივლიდა მშვიდობიანობის დროსაც კი და ეხლა როცა გრიგოლი ჩაიკეტა შიგ და ყოველ ფეხის გადადგმაზედ სეტყვასავით აყრიდნენ ტყვიას ჩასაფრებულნი, სრულიად უვნებლად ჰხდიდა გრიგოლს და მხოლოდ თავზედ ხელაღებულს შეეძლო ციხეს მიჰკარებოდა.

სოლომონმა განაგრძო ლეჩხუმის დაპყრობა, ნელ-ნელა შევიდა ყველა სოფელში, აიღო და თავის ერთგულებაზედ ფიცი მიაღებინა ხალხს. გრიგოლი ჰგრძნობდა, რომ ლეჩხუმში სრულიად გამოეცვალა ნიადაგი, ამიტომ საჩქაროდ მიატოვა მუხურის ციხე და ოდიშში გაიქცა. სოლომონმა დაიპყრო მთელი ლეჩხუმი და მისი გამგეობა გელოვანს ქაიხოსროს ძეს ჩააბარა.

ლტოლვილი გრიგოლ მომხრეებისა და მშველელების ძებნას შეუდგა, სურდა, წაგებულ საქმის კვალად გამობრუნება. ამიტომ მიჰმართა აფხაზეთის მთავარს ქელაიშ ბეგს, მიართვა მრავალი საჩუქარი, ხოლო თავისი შვილი ლევან მძევლად მიუყვანა. ქელაიმ-ბეგმა შეჰკრიფა ჯარი, გაილაშქრა სოლომონზე და აბედათს დასდგა. სოლომონმა დიდ ძალს ჯარს მოუყარა თავი, შეჰკრიფა ფიცხლავ მთელს იმერეთსა და ლეჩხუმში შორეული ჯარი და ცხენის წყალზედ შეეგება ქელაიშ ბეგს. მაგრამ საქმე ომამდის არ მივიდა, ქელაიშ ბეგი შეშინდა, არ ეგონა, თუ სოლომონი ამოდენა ჯარს მოუყრიდა თავს და მშვიდობით საქმის გათავება ამჯობინა. ომის დაწყებამდის დიდძალი საჩუქარი გაუგზავნა სოლომონს, მოციქულად თავისი ნათესავი ბეჟან შერვაშიძე აახლა და სთხოვა შერიგება. სოლომონი დასთანხმდა, ქელეიშ ბეგი უკანვე გაბრუნდა, მეფემ კი ოდიშისაკენ ჰქნა პირი და იმის დამორჩილებას შეუდგა. გრიგოლ დადიანი გორდში მოემწყვდა. ეს მოხდა 1802 წელს 15 ნოემბერს.[17])

ამ გვარად პირში ჩალა-გამოვლებული დარჩა გრიგოლ: ლეჩხუმი ხომ წაართვა სოლომონმა, ეხლა ოდიშის წართმევასაც სცდილობდა. მისმა მუდმივმა მოკავშირემაც, ქელაიშ-ბეგმაც უარი უთხრა დახმარებაზედ, ქართლ-კახეთის სამეფოც, რომელიც ყოველ ამგვარს საქმეებში ემხრობოდა ხოლმე, ეხლა აღარ არსებობდა. გრიგოლმა იმედით გაიხედა რუსეთისაკენ და გადასწყვიტა, მისი ქვეშევრდომი და მონა-მორჩილი გამხდარიყო. წინადაც არ აკლებდა გრიგოლი მეცადინეობას რუსეთთან დაახლოვებისას და არა ერთხელ სწერდა ბატონიშვილს დავითს, თავისს მოყვარეს, კნორინგთან მიშუამდგომლე, რომ სამეგრელოც ისევე შეიერთოს რუსეთმა, როგორც ქართლ-კახეთი, და მოსალაპარაკებლად ვინმე პოლკოვნიკი გამოგვიგზავნოსო. მაგრამ როცა უკანასკნელად წააგო საქმე გრიგოლმა და დარწმუნდა, რომ ველარც ქელეიშ ბეგი და ვერც სხვა ვინმე ველარ იხსნიდა სოლომონის ბჭყალებისაგან, გრიგოლმა პირდაპირ დააყენა საკითხი და დაჟინებით ითხოვა სამეგრელოს შეერთება. „მსურს მისი იმპერატორობით უდიდებულესობის მფარველობის ქვეშ ვიყო, რათა დავახწიო თავი სოლომონ მეფის ბრჭყალებს; თუ რუსეთის მთავრობა არ მიშველის და საქმე ვერ მოხერხდა, მაშინ იძულებული ვიქნები მთელის ჩემის მიწა-წყლით ოსმალეთის ქვეშევრდომობა მივიღოვო“, სწერდა გრიგოლ რუსეთის მთავრობას ტფილისში.[18]) გარდა ამისა ქუთაისში მოსულს ბატონიშვილის კონსტანტინეს განსათავისუფლებლად რუსეთის მოხელეს ბრინევსკის ორი წერილი გაატანა საქართველოს მთავარ-მართებელ ციციანოვთან, რომელშიაც ეხვეწებოდა, რაც შეიძლება ჩქარა მიეღო რუსეთის ქვეშევრდომთ მთელის მისის სამფლობელოთი.

მთავარ-მართებელი ციციანოვი ცას დაეწია გრიგოლის წინადადებით. სახუმარო ხომ არ იყო: მთელი საუკეთესო მხარე საქართველოსი ხელში უვარდებოდა თოფ-ზარბაზნის გაუსროლელად. საჭირო იყო მარჯვე შემთხვევის ხელიდან არ გაშვება. ციციანოვმა ფიცხლავ კაცი გაუგზავნა და სთხოვა, არაფრის გულისთვის არავითარი დამოკიდებულობა არ დაიჭიროს ოსმალეთთან და იმავე დროს იმპერატორს ვრცელი წერილი მისწერა გრიგოლის განძრახვის შესახებ, რომელშიაც ქებათა-ქებას ასხავდა სამეგრელოს ბუნების სიმდიდრეს, ასწერდა სარგებლობას მისის დაჭერისას და აღფთოვანებული სრულს იმედს გამოსთქვამდა, რომ სამეგრელოს შემოერთებით შავი ზღვის სანაპიროები ჩქარა ჩვენს ხელში გადმოვაო. საჭიროა, რაც შეიძლება ჩქარა, ხელიდან არ გაუშვათ ციდან მოვლენილი მანანაო.

მაგრამ რამდენადაც სამეგრელოს შეერთება სასიხარულო იყო ციციანოვისათვის, იმდენად საჭირბოროტო და სახიფათო იყო იგი იმერეთისათვის. რუსეთი რკინის სალტასავით შემოერტყმოდა იმერეთს, აღმოსავლეთ-დასავლეთით მოსვენებას არ მისცემდა და ადრე თუ გვიან მასაც სულს ამოხდიდა, სიცოცხლეს მოუსწრაფებდა. იმერეთის დაჭერა რუსეთისათვის აუცილებელ საჭიროებად გახდებოდა: საიდან უნდა მისდგომოდა რუსეთი და შეეყვანა ჯარი სამეგრელოში, თუ იმერეთზე არ გაივლიდა. რუსეთის უმაღლეს მთავრობას ამიტომ უფრო უპრიანად მიაჩნდა ჯერეთ იმერეთის დაჭერა და მერე შეერთება სამეგრელოსი.

სოლომონი აშკარად გრძნობდა, რა საფრთხეც მოელოდა, იცოდა,

*) იხ. „დროება“ N 66.

16) იხ. Акты, Археографич. ком. ტ. I, გვ. 575.

17) იხ. Акты археографич. ком. ტ. I. გვ. 579.

18) ibid გვ. 458.

ბული ხელშეკრულობა. ყველაფერი ეს წინ და წინვე განზრახული პროვოკაცია და მთავრობა ყოველნაირ ზომებს მიიღებს მასთან საბრძოლველადო. მთავრობა ნებას არავის მისცემს, რომ ატაცებულ თავების გავლენით სავაჭრო ფლოტი გაანადგურონო. საზღვაო მინისტრის ამხანაგმა შერონმა მეზღვაურებს დეპეშა გაუგზავნა. დეპეშაში ნათქვამია, დამნაშავე მატროსების დაპატიმრება კანონიერიაო. ამას გარდა შერონი აგონებს მეზღვაურებს, რომ მთავრობა ყოველთვის სცდილობდა მეზღვაურების მდგომარეობა გაეუმჯობესებინაო. ბრიანი, საზღვაო მინისტრი და შერონი იმუშავებენ ზომებს, რომ სავაჭრო გემების მოძრაობა განახლდეს. გადაწყვეტილია მიიღონ სასტიკი ზომები, რომ კონფლიქტი გათავდეს. განზრახული აქვთ საქონლის გადასაზიდ-გადმოსაზიდად და მგზავრების გადასაყვანად სამხედრო გემები გამოიყენონ. შერონი მარსელში წავიდა

**ტულონი.** მეზღვაურებმა გაფიცვა გამოაცხადეს.

**ვენეცია.** ტარნოვსკაიას საქმე. სასამართლოს დილის სხდომაზე ჩვენება ჩამოართვეს გრაფინია კომაროვსკაიას, მოკლულის დედას. კომაროვსკაიამ სთქვა: ორიოლში ყოფნის დროს დეპეშა მივიღე, შენი შვილი ვენეციაში სიკვდილის პირად არისო. დაუყოვნებლივ ვენეციაში წავედი. გზაში გაზეთებიდან ყველაფერი გავიგე. დარწმუნებული ვარ, რომ ნაუმოვი თავის დღეში არ მოჰკლავდა ჩემ შვილს, სხვის გავლენის ქვეშ რომ არ ყოფილიყო. ნაუმოვი და კომაროვსკი მეგობრები იყვნენ. ჩემი შვილი დაზღვევის წინააღმდეგი იყოო. კომაროვსკაიას ჩვენების დროს ნაუმოვი პირზედ ხელ მიფარებული იჯდა, ტარნოვსკაია პირიქით მედიდურად გამოიცქირებოდა. დამცველის შეკითხვაზედ გრაფინია ტარნოვსკაიამ განაცხადა, ჩვენი ოჯახის ყველა წევრი იმ აზრისაა, რომ ნაუმოვმა სხვის გავლენის ქვეშ მოჰკლა კომაროვსკიო. საღამოს სხდომაზედ წაიკითხეს ტარნოვსკაიას წერილები. ეს წერილები ტარნოვსკაიას პრილუკოვისათვის მიუწერია და აღმოჩნდა პრილუკოვის კაბინეტში. წერილების მეტი ნაწილი ფრანგულად არის დაწერილი. ტარნოვსკაიას სიტყვით წერილები მას არ ეკუთვნის. წაიკითხეს ვენასა და მოსკოვში მცხოვრებ მოწმეების ჩვენება. მოსკოველი მოწმეები პრილუკოვის სასარგებლო ცნობებს იძლევიან. შემდეგი სხდომა მოხდება 25 მარტს.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს ლიმიდან დეპეშით ატყობინებენ: კიტოში ბრბო თავს დაესხა პერუას რესპუბლიკის საელჩოს. ამის გამო პერუას და ეკუადორის რესპუბლიკებს შორის დავა ასტყდა. პერუას რესპუბლიკა იმუქრება, ჯარს გავგზავნი ეკუადორში, თუ ეკუადორის მთავრობა დამნაშავეებს არ დასჯისო. სათადარიგო ჯარისკაცები უკვე გაიწვიეს ჯარში. 22 მარტს ლიმის მცხოვრებლებმა ეკუადორის საკონსულოდან ბაირაღი ჩამოგლიჯეს.

**სტამბოლი.** სულთანის და სერბიის მეფის თანადასწრებით გაიმართა ჯარის აღლუმი. აღლუმი იმავე წეს-რიგით მოხდა, როგორც ბოლგარიის მეფე ფერდინანდის სტამბოლში ყოფნის დროს. აღლუმი დამთავრდა საღამოს 5 საათზედ. სერბიის მეფემ სტამბოლში ჩამოსვლის დროს აღსანიშნავად გამოსცა მანიფესტი, რომლითაც სერბიაში საპატიმროებიდან უნდა განთავისუფლდნენ სერბი-მაჰმადიანები. მეფე ძალიან კმაყოფილია ოსმალეთის მთავრობის დახვედრით.

**სტამბოლი.** გამბლის ადგილას ოსმალეთის ფლოტის ინსტრუქტორად მოიწვიეს ინგლისელი ადმირალი ფილედი.

**ბერლინი.** პოლიციის პრეზიდენტმა ნება არ დართო სოციალ-დემოკრატებს, რომ კვირას, ბიკსფარდეში კრება გაემართათ.

**თეირანი.** ჩამოვიდა ოჯახით და აფიცრებით ყაზვინის რაზმის უფროსი დევბორ-მუსნიცკი.

### რ უ ს ე თ ი

**იაკუტსკი.** გუბერნატორმა დაათვალიერა ვილუიუს ოლქი. აღმოჩნდა, რომ ტუნგუზთა ექვსი თემი, ერთ ადგილას სცხოვრობს, აქვთ სახლები, სარკეები, საკერავი მაშინები და სხვა. თავს მიწის დამუშავებით და საქონლის მოშენებით ირჩენენ. აქამდის კი ეგონათ, რომ ეს თემები მომთაბარე თემები იყვნენ.

**ოდესსა.** ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა 15,000 მანეთით დაეხმაროს „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ მიერ განზრახულ უფასო რუსულ ნაციონალურ სახელოსნო სკოლას.

**კიევი.** გამოირკვა, რომ სახელმწიფო ბანკის კანტორაში, მოხელეს, ჩერნიახოვსკის გაუფლანგავს 50,000 მანეთი.

**როვნო.** დაბა პერეზნოვში გადაიწვა ორას სახლზედ მეტი.

**მინსკი.** ოლქის სასამართლომ გაარჩია კსენდზის, სკოკოვსკის საქმე. ბრალდებოდა ბავშვის კათოლიკურ სარწმუნოებაზე მონათვლა, როდესაც კანონით მართლ მადიდებელ სარწმუნოებაზე უნდა მოენათლად. სასამართლომ სკოკოვსკის გადაუწყვიტა კსენდზობიდან გადაყენება და 100 მანეთით დაჯარიმება.

**სარატოვი.** სადგურზე დააპატიმრეს მემანქანის თანაშემწე ნარიშკინი. ბრალდება ცარიცინში ჟანდარმის სასიკვდილოდ დაჭრა. ნარიშკინის ტანისამოსი სისხლით მოსვრილი აღმოჩნდა. დაჭრილი ჟანდარმი გარდაიცვალა.

**დონის-როსტოვი.** აზოვში ნავთსადგურის მუშებმა არეულობა მოახდინეს. ნავთსადგურის მუშების არტელმა ხელფასი ასწია, ამის გამო ექსპორტიერებმა მუშების ახალი არტელი შეადგინეს. პირველმა არტელმა ახლად შემდგარი არტელი სამუშაოდ არ გაუშვა და პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია. აზოვში 40 ყაზახით წავიდა ოლქის უფროსი.

**ნოვოჩერკასკი.** სამხედრო სასამართლომ გაარჩია სამი სოციალის-რევოლიუციონერის საქმე. ბრალდებოდა საეროზო დარაჯებზე თავდასხმა. საბრალმდებლო ოქმით ბრალდებულები დარაჯებს ტყეში ჩასაფრებიან, აუტეხიათ სროლა, მოუკლავთ ერთი და მძიმედ დაუჭრიათ მეორე დარაჯი. სასამართლომ ერთს გადაუწყვიტა სიკვდილით დასჯა, მეორეს 15 წლით და მესამეს 6 წლით კატორგა.

**ეკატერინობურგი.** 23 მარტს ღამე ქურდები შეიპარნენ ურალის სამთო-მადნო მუზეუმში. ქურდებმა წაიღეს იშვიათ ბაჯაღლო ოქროს ნიმუშები. ნიმუშები გაკეთებულია გიპსისაგან და შეოქრულია. ნიმუშები ბევრი არაფერი ღირს, ძვირფასი სამინერალოგიო კოლექცია ხელუხლებელი დარჩა.

**რიგა.** ადგილობრივ ადმინისტრაციის ცნობით სუხუმში დაუპატიმრებიათ სალდათი სტორჩაკი. სტორჩაკი პორუჩიკის ერშინის მოსამსახურედ იყო და 1908 წელს მოჰკლა ერშინი, მისი ცოლი და სიდედრი.

**ოდესსა.** მე—60 ქვეითა ჯარის პოლკის სადგომში, დიუკოვის ბაღში, სადაც სათადარიგო ჯარის-კაცები შეჰკრიბეს, ერთმა ჯგუფმა, უმთავრესად მუშებმა არეულობა მოახდინეს. პოლიცია შეეცადა ერთი მეთაურის დაპატიმრებას, მაგრამ სხვა სათადარიგო ჯარის-კაცებმა წინააღმდეგობა გაუწიეს და დაამტვრიეს ფანჯრები. ერთმა სათადარიგო ჯარის-კაცმა დარაჯს ქვის დარტყმა მოუნდომა, დარაჯმა რევოლვერი ესროლა და თავში დასჭრა. დაშავდა ორი დარაჯი და უბნის ორი ზედამხედველი. გამოიწვიეს ჯარი. წესიერება აღადგინეს: ბევრნი დააპატიმრეს. დაჭრილი გარდაიცვალა.

**ვილნო.** სამოსამართლო პალატამ გაარჩია სამი კაცის საქმე, მათ შორის სასამართლოს მდივნის გლუდკინის საქმე. გლუდკინს ბრალდებოდა—ნარკევიჩის და ლოვკოვიჩისჩ ჩაგონებით ნაფიც—მსაჯულთა ყალბი სიის შედგენა. სასამართლომ ნორკევიჩი და ლევკოვიჩი გაამართლა, გლუდკინს კი მიუსაჯა ყოველივე უფლების ჩამორთმევა და $1^{1}/_{2}$ წლით ტუსაღთა განყოფილება.

**დონის-როსტოვი.** კავკავის რკინის გზაზედ უცნობებმა მოჰკლეს რკინის გზის მსახური, მისი ცოლი და შვილები მსახურის სადგომი გადასწვეს.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს სახელმწიფო დაცვის კომისიამ მოიწონა კანონ-პროექტი, რომლითაც 1910 წელს ჯარში ახლად გაწვეულთა რიცხვი 456,535 კაცს უნდა უდრიდეს. ოსებისაგან გაიწვევენ 100 კაცს.

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ჭავჭავაძის ძეგლი.** ბ-ნ ი. ნიკოლაძეს დაუსრულებია ილია ჭავჭავაძის ძეგლისთვის ბიუსტი. ბიუსტი მიუღიათ სალონის გამოფენაზე პარიზში. სალონში გამოსაფენად მხოლოდ ღირსეულ ნაწარმოებებს იღებენ. ამ ზაფხულს წ.-კ. საზოგადოება მიიღებს ძეგლს და დაამზადებს კიდეც 30 აგვისტოსათვის.

✦ **ცეცხლი ზუგდიდში.** დეპეშათა სააგენტომ უკვე გვაუწყა, რომ ზუგდიდში გადაიწვა ქალაქის საუკეთესო ნაწილიო. „ზაკავ.“ სიტყვით, ცეცხლი გაჩენილა დილის 11 საათზე. პირველად ცეცხლი გასჩენია ერთ დუქანს. რამდენიმე წუთის შემდეგ ცეცხლი მოსდებია სხვა დუქანებსაც. ცეცხლი ისე გაძლიერებულა, რომ პოლიციის, ჯარის-კაცების და მცხოვრებლების საერთო მეცადინეობას ვერაფერი გაუწყვია. სულ ერთიანად დამწვარა 20 დუქანი. არც ერთი დუქანი დაზღვეული არა ყოფილა. საინტერესო ის არის, რომ მთელ ზუგდიდში ორი კიბისა და რამდენიმე ცულის გარდა, ცეცხლის ჩასაქრობად ვერაფერი უშოვნიათ. ცეცხლის ჩაქრობის დროს პოლიციას დაუპატიმრებია რამდენიმე კაცი, რომელნიც აწიოკებულ ხალხის ქონებას იტაცებდა. ზარალი 200,000 მანეთი იქნება.

✦ **უცნაური პროექტი.** სამსახურს გარეშე მყოფ მოხელეს ივანოვს განცხადება მიუცია ტფ. პოლიცმეისტერისათვის. იგი დაწვრილებით ასწერს, რა თვითნებურად იქცევიან ყასბები, და ბოლოს ყასბების ასალაგმავად ივანოვი შემდეგ ღონისძიებას ასახელებს: ტფილისში უსაქმოდ ბევრი მოხელეა, სამსახურს გარეშე მყოფი, და ისინი უსასყიდლოდ დილით იკისრებენ სამი საათის განმავლობაში დუქნებში დგომას, რომ თვალყური ადევნონ ყაჭრებსაო. ტფ. პოლიცმეისტერმა ეს განცხადება ქალაქის გამგეობას გაუგზავნა.

✦ **ცოლის მოკვლა.** 23 მარტს საღამოთი კვირაცხოვლის ქუჩაში აისორმა იუსუფ ზაიამ სასიკვდილოდ დასჭრა თავისი ცოლი. პოლიციის ცნობებით, ზაიას ტფილისიდან წასვლა განუზრახავს და ცოლისთვის უთხოვნია გაჰყოლოდა. ცოლი უარზე დამდგარა, ამაზე ჩხუბი მოსვლიათ და ქმარს დანით დაუჭრია ცოლი. ზაია დააპატიმრეს.

✦ **მინისტრის ჩამოსვლა.** ბარონის და ლორისმელიქოვის ქუჩებზე უკვე დაამთავრეს ახალი შენობა სახელმწიფო ბანკის ტფ. განყოფილებისთვის. აღდგომის კვირაში აკურთხებენ შენობას და ამ დროისთვის ტფილისში მოელიან ფინანსთა მინისტრს. აზრადა აქვთ განყოფილება კანტორად გადააკეთონ. სახელმწიფო ბანკის კანტორა რუსეთში სულ ოთხ-ხუთ ქალაქშია.

✦ **ლექციები.** დღეს ლექტორი ნ. ი. აბრამოვიჩი წაიკითხავს მესამე ლექციას „ადამიანი მომავალში“. (ფრიდრიხ ნიცშე). ხვალ იგივე ლექტორი წაიკითხავს მეოთხე ლექციას „რელიგია მშვენიერებისა და ტანჯვისა“ (ოსკარ უაილდი).

✦ **შალის საქსოვი სახელოსნო ტფილისში.** ამას წინად კავკასიის შინაურ-მრეწველობის კომიტეტმა მიწად-მოქმედების მთავარ სამმართველოს უფროსთან შუამდგომლობა აღძრა, რომ ტფილისში დაარსებულიყო შალის-საქსოვი სასწავლი სახელოსნო. მთავარ სამმართველოს უფროსს შეუწყნარებია ეს შუამდგომლობა და შალის-საქსოვ სახელოსნოს მოსაწყობად გადაუდვია 27,000 მანეთი. სახელოსნო გაიმართება მეშტაიდის მახლობლად. სახელოსნოს გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვაც დამტკიცებულია.

✦ **ქართულ ეროვნულ გუნდის საზოგადოება.** როგორც ვწერდით, ადმინისტრაციამ დაამტკიცა ქართულ ეროვნულ გუნდის საზოგადოების წესდება. საქმის ინიციატორებს განზრახვა აქვთ, აპრილის ბოლო რიცხვებში მოიწვიონ საზოგადო კრება. კრება აირჩევს გამგეობას. ამ ჟამად მოლაპარაკება აქვთ ქუთაისის მუსიკოსებთან, რომ იქ დაარსდეს საზოგადოების ფილიალური განყოფილება.

✦ **რევიზია.** უკვე ვწერდით და ეხლა დეპეშათა სააგენტოც ამოწმებს, რომ ტფილისის ოლქის სამოსამართლო დაწესებულებათა რევიზორად დაუნიშნავთ სენატის ობერ-პროკურორი რეინკე.

✦ **შუამდგომლობა.** „უტრო როსსიის“ სიტყვით, ოსმალეთის სომეხთა პუბლიცისტებს გადაუწყვეტიათ, სთხოვონ სტამბოლის სომეხთა პატრიარქს დურიანს, რომ სომეხთა კათოლიკოსის საშუალებით, იშუამდგომლოს რუსეთის მთავრობის წინაშე ბელეტრისტ აჰარონიანის განთავისუფლებლად. როგორც ვიცით, აჰარონიანი ერთი წელიწადია, რაც სატუსაღოში ზის და ჭლექით არის ავად.

✦ ტფ. პოლიცმეისტერმა უბრძანა ბოქაულებს, შეუდგნენ ძებნას 15 წლის უმაწვილის მიკირტიჩ ტერ-ტადიანცისას, რომელიც 18 მარტს მესხიევის ქუჩაზე სახლიდან გამოსულა და აღარ დაბრუნებულა.

✦ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „ცხოვრების კარეში“, დრამა 4 მოქმედებად, ბარბარე ხერხეულიძისა, გამოცემა „ამხანაგობისა“. ფასი 30 კაპ.

✦ ტფ. გუბერნატორის განკარგულებით, 20 მარტს დაჯარიმებულ იქმნენ: გრიგოლ მირუმოვი და ძეგველოვი—15 მან., თუ ამ ფულს არ გადაიხდიან, დაპატიმრებულ იქნებიან სამ-სამი დღით; ზაქარია ნიქოვანი და ეკატერინე ხომასურიძე თითო—15 მან., ესტატე ამზაიპარაშვილი 50 მან. და სოფიო ყურაგკინისა—15 მან.

✦ 23 მარტს ტფილისში შემდეგი ამბები მოხდა: ავჭალის ქუჩაზე მცხოვრებ რკინის გზის კონდუქტორს პეტრე ბელიაევს შინ არ ყოფნის დროს სახლში შეპარვიან ქურდები და გაუტანიათ 72 მან. ეჭვით დააპატიმრეს ბადო-ამო-ოღლი. რუსთველის ქუჩაზე მეკურტნე მუშის მინა მერეზადაშვილის გაცარცვის მონაწილე ისააკ ნაზარის ძე ქიტუაშვილი დააპატიმრეს და გადასცეს გამომძიებელს. ტფ. მოქალაქე იაგორ პოპოვი სურფ-მინასის ქუჩაზე მცხოვრები, სახურავს ასწორებდა ოქოევის ქუჩაზე ელისაბედ აივაზოვის სახლზე, პოპოვი გადმოვარდა სახურავიდან და ძალზე დაშავდა, დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს. 23 მარტს პოლიციამ ქურდობისათვის დააპატიმრა პელაგია სუსლანაროვი. სირაჯხანის ქუჩაზე ჩხუბი მოუვიდათ სამსონ კობაშვილს და ხაიმ ჩანჩალაშვილს, რომლის დროსაც ჩანჩალაშვილმა დანით ზურგში დასჭრა კობაშვილი. დამნაშავე დააპატიმრეს. 23 მარტს ნაშუადღევის 4 საათზე, ეტლით მიდიოდა კნ. ანასტასია ჩიქავაძისა. ცხენები დაფრთხნენ და ისე ძლიერ გაექანენ, რომ კნ. ჩიქავაძე და მეეტლე ბაღდავაძე გადმოვარდნენ და დაშავდნენ, მინკვიცევის ქუჩაზე მცხოვრებმა ვასილ ბეთაშვილმა პოლიციას გამოუცხადა, რომ მისი 17 წლის ვაჟი, გიმნაზიის მოსწავლე გიორგი თავის ამხანაგ ნიკოლოზ კანდუროვთან ერთად გამოვიდნენ 20 მარტს სახლიდან და შემდეგ აღარ დაბრუნებულანო. მასწავლენი პოლიციამ 23 მარტს დააპატიმრა ტფ. სადგურზე მესამე ამხანაგ ვლადიმერ ბოროდინთან ერთად, მოსწავლეებმა განაცხადეს, ჩვენ გაემგზავრნენ საზღვარ გარედ და რადგან ყარსში სამგზავრო ფული შემოგვაკლდა, უკანვე დავბრუნდითო. პოლიციის მე-4, 5 და 8 ნაწილში ჩხრეკის დროს პოლიციის მოხელეებმა დაპატიმრეს 100 მდე უპასპორტოები.

## მოწერილი ამბები

**გორი.** „დროებაში“ არა ერთხელ აღნიშნულა ის, თუ რა მდგომარეობაში ჩავარდა ჩვენი ქალაქი აწინდელ „ბურგომისტრის“ მამასახლისის ხელში. ყველაფერი მზრუნველის ხელს არის მოკლებული. მოქალაქეთა ჯანსადობაზე არავინა ზრუნავს, ოდრო-ხოდრო ქუჩების შეკეთება აირუნშიაც არავის მოსდის, ყველგან უსუფთაობაა, ყველგან სიბინძურეა. ნამეტნავად მივიწყებულია „წმინდა წყალი“ და „გარეთუბანი“. ვთქვათ „წმინდა წყალი“ დიდი რაიონი არ არის. „გარეთ უბანზე“, რომელიც ქალაქის ნახევარს შეადგენს? კი ნუ მიწყენს „გარეთუბნელები“, მაგრამ ისეთი სიბინძურეა იქ, ისე ყარს ტალახი, რომ ვაგლის დროს ცხვირზე ხელსახოცი უნდა მიიფარო. ხეირიან განათებასაც მოკლებულია ეს გორის „ნაძალადევი“. ელექტრონის ფარნები ქვემო ნაწილშია, ესე იგი სადაც შეძლებული ხალხი სცხოვრობს, ხოლო ზემო ნაწილი, ანუ „გარეთუბანი“, სადაც განსაკუთრებით ღარიბები სცხოვრობენ, განათებულია ძველი ფარნებით, კიდევ რა უჭირს, ეს ფარნები თავის დროზე რომ ინთებოდეს. ამათთვის ცალკე მოსამსახურეა დანიშნული, მას კი რიგზე მოუნდება, მე-

რომ სამეგრელოს შეერთებით მასაც სიკვდილი მოელოდა და ყოველ გზით შეეცადა მოსალოდნელ უბედურების როგორმე თავიდან აცდენა. უპირველეს ყოვლისა სოლომონი შეეცადა შერიგებოდა გრიგოლს, თუ ხელს აიღებდა რუსეთთან დამოკიდებულობაზე, მაგრამ გრიგოლი ულმობელი გამოდგა. მას არასგზით არ უნდოდა მორიგებით გაეთავებინა საქმე. რაკი ამ გზით ვერაფერს გახდა სოლომონი, ახლა ოსმალეთის მთავრობასთან ბეზღობა და ჩივილი დაუწყო, ჩაუკეტა ყველა გზები და უნდოდა როგორმე ხელთ ეგდო. გორდში მისულს გრიგოლს სახტად თავს დაესხა, მაგრამ გრიგოლმა მოასწრო გაქცევა და ფეხით შეაფარა თავი. სოლომონი ამასთან თვალყურს ადევნებდა და სდევნიდა გრიგოლის დესპანებს. ციციანოვი კარგათ გრძნობდა, რომ სოლომონისათვის არაფერს სახეიროს წარმოადგენდა გრიგოლის განძრახვანი და, ეჭვი არ იყო თუ კი შესძლებდა ფარულად და ცხადად წინააღუდგებოდა გრიგოლის განძრახვებს. ამიტომ ციციანოვი ფთხილად იქცეოდა და ისეთის გზით ჰგზავნიდა კაცებს დადიანთან, რომ სოლომონს ვერაფერი გაეგო. მაგრამ ფხიზელი და მოხერხებული სოლომანი, რომელსაც ყველგან ერთგული კაცები ჰყავდნენ, გრიგოლის ყოველ ფეხის გადადგმას იგებდა. ამიტომ გაგზავნა თუ არა გრიგოლმა ციციანოვთან ძმანი კვინიხიძეები, ქაიხოსრო და როსტომი, რომელნიც საიდუმლოდ მიიპარებოდნენ ქართლისაკენ, დააჭერინა, წაართვა მათ გრიგოლის წერილები, კარგად აცემინა და რამდენიმე დღის დაპატიმრების შემდეგ გაუშვა. უკან გამობრუნებაზე ერთი მათგანი მსახურიანად მოაკვლევინა და როცა ციციანოვი შეეკითხა ამის შესახებ, სოლომონმა უპასუხა, რომ კვინიხიძე იმ სოფლიდან, სადაც ღამე იყო ჩამომხტარი, ცხენები მოიპარა მდევრები დაეწივნენ და იმათ მოკლესო. ეს კიდევ არაფერი: ციციანოვისაგან გაგზავნილი მამაცაშვილი, რომელსაც გრიგოლისთვის მიჰქონდა ამბავი იმპერატორის თანხმობისა სამეგრელოს შეერთების შესახებ და რომელსაც ახალციხეზე უნდა გაევლო და სრულიად ასცდენოდა იმერეთს, სოლომონმა გურიაში დააჭერინა, წერილები წაართმევინა და ისე გაუშვა გრიგოლთან[19]). გარდა ამისა, სოლომონი წერილებით უმტკიცებდა ციციანოვს, რომ დადიანები უხსოვარ დროიდან ჩვენი ქვეშევრდომნი არიანო, ჩვენზეა დამოკიდებული მათი დანიშვნა-დათხოვნაო და დადიანს არაფერი უფლება არა აქვს რუსეთს შეუერთდესო. მაგრამ ამისთანა არგუმენტებით რას გააწყობდა, რუსეთის მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა რაც შეიძლება ჩქარა კარის გახსნა შავისა და კასპიის ზღვებისაკენ და ამიტომ რაც გინდა პიტალო სიმართლე ყოფილიყო სოლომონის სიტყვა, ციციანოვი არას დაგიდევდა. მოუვიდა თუ არა იმპერატორისაგან დასტური სამეგრელოს შეერთებისა, ციციანოვმა მაშინვე კაცები აფრინა დადიანთან და სთხოვა რჩეულისა და სრულის ნდობით აღჭურვილ კაცები გამოგზავნა დაწვრილებით პირობების შესამუშავებლად. სიხარულით ცას დაწეულმა დადიანმაც გაუგზავნა თავისი კარის მღვდელი სიმონ ასათიანი და აზნაურიშვილი გოგიაშვილი.

აი, ის პირობებიც, რომლებითაც სამეგრელოს მთავარი შეუერთდა რუსეთს: 1. დადიანი საუკუნოდ ხდებოდა ქვეშევრდომი რუსეთის იმპერატორისა მთელის თავისს სამთავროთი; 2. მთავარს რჩებოდა ყოველივე უფლება და უპირატესობა და მემკვიდრეობით გადადიოდა მთავრობა უფროს ვაჟიშვილზე, რომელიც იმპერატორისაგან მტკიცდება; 3. მართლ-მსაჯულობა მთავრის ხელში რჩებოდა; 4. რუსეთის ჯარის საკმარისი რიცხვი უნდა მდგარიყო ყოველთვის სამეგრელოში, მთავრის გარეშე მტერთაგან დასაცველად: 5. თუ ვინიცობაა რამე მადნეულობა აღმოჩნდებოდა სამეგრელოში, იმის შემოსავალში წილი უნდა სდებოდა დადიანს და 6. თუ რომელიმე ქალაქი დაარსდებოდა სამეგრელოში, რომლისაგანაც შემოსავალი ექნებოდა რუსეთის მთავრობას, აქაც წილი უნდა სდებოდა დადიანს. დადიანი თავისს მხრივ ვალდებული ხდებოდა: 7. მორჩილი ყოფილიყო ყველაფერში რუსეთის მთავრობისა; 8. სამეგრელოში მდგომ რუსეთის ჯარისათვის მიეცა ბინა და გათბობა-განათება; 9. ეზრუნა ჯარის საზრდოობისათვის; 10. ეშოვნა მადნებში სამუშაოდ ხალხი იმ ფასებში, რასაც სამთო მმართველობა დაუნიშნავდა; 11. უსასყიდლოდ ეძლია ხომალდების ასაშენებლად ხე-ტყე; 12. უარს ამბობდა საბაჟოების შემოსავალზე, თუ ვინიცობაა რუსეთი მოახერხებდა და ზღვის პირად სავაჭრო ნავთ-სადგურებს გახსნიდა 13. გრიგოლისთვის უნდა ებოძებინათ მახვილი და დროშა.

ამ შემუშავებულს პირობებზე ფიცი უნდა მიეღო და დაემტკიცებინა გრიგოლ დადიანს და მერე იმპერატორისათვის გაეგზავნათ დასამტკიცებლად.

ახალციხე-ფოთის გზით გამგზავრებული პოლკოვნიკი მაინოვი 1 დეკემბერს 1893 წელს უკვე ქალადიდში იყო. მაინოვმა მიართვა დადიანსა და მის მეუღლეს ციციანოვისაგან გამოგზავნილი წერილები, სამურის ძვირფასი ტყავები და ათი არშინი ალისფერი ფარჩა. დადიანმა იმავე დღეს მოაწერა ხელი ყოველ პირობას და ბძანება გასცა, შეკრებილიყო სამღვდელოება და თავადაზნაურობა. მეორე დღეს მივიდა ეპისკოპოსი ცაიშისა და იმ თავადაზნაურობას, რომელიც დადიანის მომხრე იყო, იმავე დღეს, ე. ი. 4 დეკემბერს, მიაღებინა ფიცი რუსეთის ქვეშევრდომობაზე. მაინოვმა გადასცა დადიანს ამასთანავე ალექსანდრე ნეველის ჯვარი, რომელსაც დადიანი დიდი ხანია მოელოდა.

ამ გვარად მოისპო თვით-არსებობა სამეგრელოსი. სადადიანოს პატრონმა, რომელიც თავგამოდებით ებრძოდა მეფე სოლომონს სრულის დამოუკიდებლობისათვის და რომელსაც არასგზით არ უნდოდა ქედი მოეხარა იმის წინაშე, საუკუნოდ დაუთმო თავისი მიწა-წყალი რუსეთის მთავრობას.

**ზ. ედილი.**

(შემდეგი იქნება)

19) ibid ტ. II. გვ. 458.

შინ ანათებს, დამშლელი არავინა ჰყავს. ხშირად სემინარიიდან მოყოლებული ვიდრე სადგურამდე „გაჭახჭახებულია“, გარეთ უბანი კი უკუნეთს წარმოადგენს. კაცი რომ მოჰკლათ, ხმის გამცემი არავინ იქნება. წყლის თხრილებზე ბოგირებსაც არავინ აქცევს ყურადღებას. თითქო ზარბაზნის ტყვიით დაუხვრეტიათო, ისე არის ალაგ-ალაგ ამოგლეჯილი და ფაიტონ-ურმები ერთი ვაივაგლახით და შიშით გადაჰყავთ, რომ საქონელს ფეხი არ ჩაუვარდეს და არ მოსტყდეს. სამაგიეროდ ერთ რამეში ვერავინ ვერაფერს უსაყვედურებს ჩვენ გამგეობას და იმის „ბურგომისტრს“, სახელდობრ „პოლიციურად“ გამაგრებაში. ამ მხრივ ვერც ერთი ქალაქის გამგეობა „თავითურთ“ ვერ შეედრება მას. ჩვენი „ბურგომისტრი“ მეტად ფრთხილი ადამიანი გამოდგა. ახსოვს რა, რომ „სიფრთხილეს თავი არ ასტკივა“ და რომ ყველაფერი შესაძლებელია ამ ჩვენ „კრამოლის“ ხანაში, მან, როგორც სამხედრომ, სამხედრო წესები გამოაცხადა თვის „საბრძანებელში“... საკუთარი ხარჯით დაიქირავა პოლიციელები და კარებში დააყენა, რასაკვირველია, საკუთარის „ინსტრუქციებით“ და მით შეუძლებელ ჰყო ვინმე „ბოროტი სულის“ გამგეობაში შეპარვა.

ყური მოვკარ, რამდენიმე ათასი მანეთი ვალი აწევს კისერზე ქალაქსაო. საკვირველია ღმერთმანი, თითქოს გასასხადები ნორმალურად შედის და სად მიდის ეს ფული? თითქოს ამ ცოტა ხანში ქალაქს არაფერი თვალსაჩინო არ შეჰმატებია და საიდან გაჩნდა ეს ვალი? **გურჯი ხანგანიძე.**

---

**სოფ. დიდი-ლილო** (ტფილისის მაზრა) „ხე რომ წაიქცევა, ცულიანი და უცულო ზედ შედგებაო“, სწორედ გლეხ-კაცის დღევანდელს მდგომარეობაზეა გამოჭრილი. ბევრი უბედურებაა დაატყდა გლეხს. ახლა ზედ ტყის გადასახი დაერთო. ადგენენ ოქმებს ტყის გაჩეხისთვის 1905 და 1906 წლებში, თუმცა აქაურებს ძალით არც ტყე გაუჩეხიათ და არც საქონელი შეურეკიათ სახელმწიფო ტყეში. ზოგი ოქმი შედგენილია ისეთ კაცზე, რომელსაც არ გააჩნია არც ხარი და არც კამეჩი. უკვე შედგენილია ოთხასი თუმნის ოქმები და, როგორც ტყის ყარაული იძახის, ჯერ ბევრის კიდევ შესადგენი. ოქმებს ადგენენ და ჯარიმას ახდევინებენ შეშის მასალის გამოტანაზე ტყიდან, ნამდვილად კი არის მხოლოდ სათიბხე ტყე. აქაურებს ყოველწლივ ეძლევათ 12 დესეტინა სათიბხე ტყე მოსაჭრელად; 1905 და 1906 წლებში, როგორც ყველგან, იქაც არ იყვნენ ტყის მცველები და ნებართვის მიმცემი ფიჩხის გამოტანაზე არავინ იყო. ცხადია, გლეხები შიმშილით არ დაიხოცებოდნენ და თონის გასახურებლად ფიჩხს გამოიტანდნენ. აი ასეთ აუცილებელ საჭიროებისათვის გამოტანილი ფიჩხის გულისთვის დღეს გლეხი უკანასკნელს ხარს ჰყიდის, რომ ჯარიმა მოიშოროს თავიდან. ამ ოქმების შესახებ ხალხმა ამოირჩია რწმუნებულად ორი კაცი— ადგილობრივი მღვდელი მ. კახაბერი და ადგილობრივი მცხოვრები ი. თიგიშვილი, რომელთაც მიანდეს მირთმევა, სადაც ჯერ არს, თხოვნისა ტყის ჯარიმის პატიებაზე. ამათ მიართვეს თხოვნა ბ-ნ ნამესტნიკს, რომელსაც თხოვნა გადაუცია სახელმწიფო მამულების სამმართველოსთვის. ამ უკანასკნელს კიდევ გადაუცია ტყის მცველისთვის.

თებერვალში სოფლის სამართველოში მოხდა ყრილობა, რომელსაც ხალხი ბევრი დაესწრო. ყრილობაზე დაესწრო აგრეთვე ადგილობრივი სამრევლო სკოლის მასწავლებელი ალ. ქახელაძე, რომელმაც აღძრა საკითხი საკრედიტო ამხანაგობის დაარსებაზე და ურჩია ხალხს მისი გახსნა, როგორც აუცილებელი საჭიროება გლეხთათვის, რომელნიც ჩაცვივნულნი არიან მევახშეების კლანჭებში. მანვე აუხსნა საკრედიტო ამხანაგობის მნიშვნელობა და სარგებლობა; გააცნო აგრეთვე დაახლოებით მისი წესდება. ხალხი სიხარულით მიეგება ამ საქმეს და ერთხმად, გარდა თითო-ოროლა ურწმუნო თომასი, მოისურვა მისი დაარსება. იმ დღესვე მასწავლებლის ხელმძღვანელობით შეადგინეს ქაღალდი და სთხოვეს სახელმწიფო ბანკს, მიეცეთ თანხად ასი თუმანი გრძელის და ასი თუმანიც მოკლე ვადით.

**ნ. კა—ძე.**

---

# უკრაინული სკოლები

(წერილი უკრაინიდან)

„ცოტა წარმატება და სარგებლობა ექმნება იმ სკოლას, სადაც ბავშვი მიდის, როგორც ჯოჯოხეთში, და საიდანაც სახლში გარბის, როგორც ჯოჯოხეთიდან, სადაც ყველაფერი უცხო, გაუგებარი და ბნელია. სწორედ ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს სკოლა უკრაინელ ბავშვზე, როცა იგი სიარულს იწყებს სკოლაში, რომელიც მთელ სოფელში ერთად-ერთი ადგილია, სადაც რაღაც გაუგებარ ენაზე ლაპარაკობენ. რასაკვირველია, ამ გვარი სკოლა ფესვებს ვერ გაიდგამს ხალხის ცხოვრებაში და ვერავითარ სასარგებლო ნაყოფს ვერ მოიტანს. სხვაფრივ შეუძლებელიც არის, რადგანაც, ჯერ ერთი, ამგვარი სკოლა ხალხის დაბლა სდგას: რა მნიშვნელობა აქვს მას თავის ასიოდე უხეიროდ გაზეპირებულ სიტყვით იმ უზომოდ-ღრმა, ცოცხალ და მთლიან ენის წინაშე, რომელიც ათასი წლობის განმავლობაში ხალხმა შეჰქმნა და გამოიტანჯა. მეორე—ამ გვარი სკოლა ულონოა, იმიტომ რომ ბავშვის განვითარების საქმეს არ აყენებს ნაყოფიერ ნიადაგზე—ეროვნულ ენაზე და მასში გამოხატულ ერის გრძნობაზე. ბოლოს, ამგვარი სკოლა უსარგებლოა, რადგან ბავშვი იქ შედის სრულიად უცხო სფეროდან და გამოდის იქიდან აგრეთვე უცხო სფეროში სამოქმედოდ. ჩქარა ივიწყებს იმ ორიოდე რუსულ სიტყვას, რომელიც სკოლაში ისწავლა. ეროვნული ენა და ცხოვრება კვლავ ფეხს იდგამს იმის სულსა და გულში და აქარწყლებს სკოლის ყოველგვარ შთაბეჭდილებას, როგორც მისთვის სრულიად უცხოს. მაშ რა გააკეთა სკოლამ? უარესი, ვიდრე არაფერი! იმან რამდენიმე წლით შეაჩერა ბავშვის ბუნებრივი განვითარება. გახრწნა და წაახდინა ადამიანის სული“...

ასე სწერდა ცნობილი მეცნიერი და პედაგოგი უშინსკი. რასაკვირველია, უშინსკის შემდეგ სკოლებს უკრაინაში არაფერი მომატებიათ და, როგორც მაშინ, ეხლაც უცნობ ენაზე ასწავლიან, ეხლაც 25 მილიონიანი უკრაინელი არა თუ მოკლებულია განათლების უსაჭიროეს საშუალებას—ჯეირიან სკოლას,—არამედ იმ დაწესებულების გავლენის ქვეშ იმყოფება, რომელიც „აჩერებს რამდენიმე წლით ბავშვის განვითარებას“ და „ხრწნის და ახდენს ადამიანის სულს“.

უკრაინაში სამშობლო ენაზე სწავლება პირველად მესამოცე წლებში აიკრძალა. მანამდის ეს საკითხი ყველასთვის ცხადი და ნათელი იყო. მეორმოც-დაათე წლებში სახელმძღვანელოებიც კი გამოვიდა უკრაინულ ენაზე. სამხრეთ-რუსეთის მთელი რიგი პედაგოგებისა საჭიროდ სცნობდა პირველ-დაწყებით სკოლებში სწავლების ადგილობრივ ეროვნულ ენებზე—ბელორუსიულსა და უკრაინულზე. პედაგოგიური საბჭო კიევის მეორე გიმნაზიისა, ჟიტომირის დირექტორი პრისტიუკი, სწავლა-განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტის წევრი ვესელი, კიევის ყოველ-დღიურ და საკვირაო სკოლების 84 მასწავლებელი (მათ შორის ცნობილნი ვ. ანტონოვიჩი და მ. დრაგომანოვი),— ყველა ესენი თხოულობდნენ და საჭიროდ სცნობდნენ სკოლებში უკრაინულ ენის შემოღებას.

სამწუხაროდ, საკითხი ჩქარა პოლიტიკურ ნიადაგზე გადაიტანეს. უკრაინელების „სეპარატიზმზე“ პირველად ებრაელების გაზეთმა „სიონმა“ დაბეჭდა წერილი, შემდეგ „მოსკოვ. ვედომ.“-მ და „რუსკ. ვესტნ.“-მა. უკრაინულ ენის წინააღმდეგ ამხედრდა უმაღლესი სამღვდელოება, უფრო კი მიტროპოლიტი ისიდორე, რომელიც ჯერ კიევში იყო, მერე პეტერბურგში. უკრაინულ სკოლებს ბრალსა სდებდნენ ურწმუნოებაში და სხვ. 1862 წელს რუსეთში დაიხურა საკვირაო სკოლები „არა-კეთილსაიმედობით“ და, საზოგადოდ, სკოლებიდან განდევნილ იქმნა უკრაინული ენა, ხოლო 1863 წელს აიკრძალა თვით უკრაინული ლიტერატურაც.

თუმცა ბევრმა აღძრა შუამდგომლობა ამის შემდეგ და საჭიროდ იცნო სკოლებში უკრაინულ ენის შემოღება, მაგრამ ყველაფერმა ამაოდ ჩაიარა. ასე, მაგალითად, აღძრა შუამდგომლობა 1881 წელს ჩერნიგოვის საგუბერნიო ერობამ, 1885 წელს—ხერსონის საგუბერნიო ერობამ, 1900 წელს პოლტავის საგუბერნიო ერობამ ქალაქ პოლტავის საბჭომ და ოდესის ქალაქის საბჭომ, 1903 წელს—პეტერბურგში მომხდარმა ტეხნიკოსთა კრებამ. ბოლოს, ხარკოვის უნივერსიტეტის საბჭომ ერთხმად გამოსთქვა აზრი უკრაინულ ენის შევიწროვების წინააღმდეგ და, სხვათა შორის, დაადგინა: „საბჭო საჭიროდა სცნობს, იმ ადგილებში, სადაც უკრაინელნი სცხოვრობენ, პირველ-დაწყებით სკოლებში უკრაინული წერა-კითხვის სწავლება მაინც იქმნას შემოღებული. ამას გარდა უნდა ნება დართულ იქნას, რომ დაბეჭდონ რუსული სახელმძღვანელოები უკრაინულ ბავშვებისთვის რუსულ გაუგებარ სიტყვებისა და ფრაზების უკრაინულ ენაზე ახსნითა და თარგმანით“.

მკითხველი დაინახავს, რა მდგომარეობაში იყო და არის უკრაინული სკოლები და, როგორც ეტყობა, ჯერ კიდევ კარგა ხანს იქნება ასე. ამას წინად როცა სახელმწიფო სათათბიროს სახალხო განათლების კომიტეტმა არა რუსთა სკოლების შესახებ დადგენილება მიიღო, კიეველმა დეპუტატმა პროფ. ლუჩიცკიმ წინადადება შეიტანა, რომ იმ ადგილებში, სადაც უკრაინელები სცხოვრობენ, სწავლება უკრაინულ ენაზედ სწარმოებდეს, მაგრამ კომიტეტმა უარ-ჰყო ეს წინადადება.

**გ. ნამორაძე**

(დასასრული იქნება)

# შორეულ აღმოსავლეთი

**იაპონია და რუსეთი.**

პეკინში ხმა გავრცელდა, რომ იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრი ცნობილი კომურა ამ დღეებში პეტერბურგს წავა რუსეთის მთავრობასთან ზოგიერთ მნიშვნელოვან საქმის თაობაზე მოსალაპარაკებლადო.

**ხმა ომზე.**

გერმანიის საელჩოს აგენტს, რომელსაც მთელი მანჯურია მოუვლია, უთქვამს რუსულ გაზეთების თანამშრომლებისთვის ხარბინში, რომ შორეულ აღმოსავლეთი ამ მოკლე მომავალში ისევ გახდება დიდ ომის ასპარეზადაო. იაპონიისა და ამერიკას უთოდ მოუვათ შეტაკება. მე უკვე შევატყობინე გერმანიის მთავრობას, რომ ურთიერთობა ამ ორ სახელმწიფოს შორის მეტად გამწვავდაო.

# სპარსეთი

**რკინის გზების საქმე.**

რუსეთის მთავრობასა და სპარსეთის მთავრობას შორის ამ ჟამად მოლაპარაკება გამართული სესხზე. თუმცა ამ მოლაპარაკებიდან არა გამოვიდა რა, მაგრამ რუსის დიპლომატებს მაინც იმედი აქვთ, რომ თავისას გაიტანენ და სპარსეთის მთავრობას დაიყოლიებენ გარანტიების მიცემაზე, ესე იგი სპარსეთის მთავრობა ხელ ახლად მისცემს პირობას რუსეთის მთავრობას, რომ სპარსეთი არც თითონ ააშენებს რკინის გზებს და რუსის გარდა, არც სხვა სახელმწიფოებს მისცემს რკინის გზების აშენების ნებას.

ერთს გამოჩენილ რუსის დიპლომატს უთქვამს ერთის გაზეთის კორესპონდენტისთვის: „რუსეთი არა დროს არ მოითმენს რომ ჩრდილოეთ სპარსეთში ჩვენს გარდა სხვამ ვინმემ ააშენოს რკინის გზები. მეტადრე რკინის გზის მთავარ შტოს, რასაკვირველია, ჩვენ ავაშენებთ, ეგაა ეხლა არეულობის გამო სპარსეთში შეუძლებელია რისამე აშენება“.

# უცხოეთი

**რეზოლიუციები ლორდების წინააღმდეგ.**

16 მარტს ინგლისის დეპუტატთა პალატა ხელახლად შეიკრიბა ნაადგომევს (ახ. სტილით) და იმ წამსვე შეუდგა ასკვიტის მიერ შეტანილ რეზოლიუციების განხილვას. პირველმა ილაპარაკა თითონ ასკვიტმა, რომლის სიტყვაც დიდის ყურადღებით მოისმინა დეპუტატთა პალატამ. სამინისტროს მომხრეები თუ მოწინააღმდეგენი ერთნაირის ცნობის-მოყვარეობით ელოდნენ, აბა რას იტყვის პირველი მინისტრი ლორდთა პალატის რეფორმაზეო.

ამ რეფორმის თაობაზე პირველმა მინისტრმა სთქვა: იმ რეზოლიუციებს, რომლებიც ეხლა წარმოუდგინეთ პალატას, დროებითი ხასიათი აქვთო. ორ პალატიან წესის დატოვება აუცილებლად მიმაჩნია. საჭიროა, რომ ზედა-პალატა არ იყოს წარმომადგენელი მხოლოდ ერთ-ერთ ჯგუფის ან პოლიტიკურ პარტიისა. იგი უნდა იყოს გამომთქმელი ხალხის სურვილისა და ნებისა და ამიტომ უნდა იყოს ხალხის მიერ ამორჩეული. ლორდ როზბერის წინადადებანი, რომლებიც ამას წინად განიხილეს ლორდებმა, ვერ შექმნიან დემოკრატიულ ზედა პალატას. ამ წინადადებით მეფესა და მთავრობას ჩამოერთმევა ის ერთად ერთი კონსტიტუციონური საშუალება ლორდების წინააღმდეგ, რომელიც ეხლა ხელთა აქვთ: ესე იგი უფლება ახალ პერების (ლორდების) დანიშვნისა. მაგრამ მოცდა აღარ შეიძლება. მოხდა ისეთი ამბები, რომლებიც აუცილებელ საჭიროებად ჰხდიან ხალხის წარმომადგენელთა და ეხლანდელ ლორდთა პალატას შორის ურთიერთობის მოწესრიგებას. ლორდები სისტემატიურად უარ-ჰყოფენ პროგრესიულ კანონებს; ისინი იქამდე გაკადნიერდნენ, რომ თვით ბიუჯეტიც კი უარ-ჰყვეს. სანამ ზედა-პალატის გადემოკრატებას შევუდგებოდეთ, თავი უნდა დავაღწიოთ იმ გაჭირვებას, რომელშიაც ჩავარდა კანონ-მდებლობა ეხლანდელ წესების წყალობით. ამიტომ პირველი რეზოლიუცია მოითხოვს ლორდთა პალატის საფინანსო უფლების სრულ მოსპობას, ხოლო მეორე რეზოლიუცია მოითხოვს, რომ იმავ პალატას მოესპოს უცილობელ „ვეტოს“ უფლება დანარჩენ კანონმდებლობაშიაც. მართალია ორ სხვა საშუალებასაც გვირჩევენ ორსავ პალატის განწყობილების მოსაწესრიგებლად: სახელდობრ რეფერენდუმს და ორსავ პალატის მიერ არჩეულ მომრიგებელ კომისიებს. თითონ პირველი მინისტრი არაა რეფერენდუმის მომხრე. რაც შეეხება მომრიგებელ კომისიებს, ასკვიტის აზრით, მათზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, რადგან ამ ჟამად დეპუტატთა და ზედა პალატები სულ სხვა და სხვა საფუძვლებზეა დამყარებული. დეპუტატთა პალატის წარმომადგენლობითის ხასიათის განსამტკიცებლად, მესამე რეზოლიუცია მოითხოვს, რომ ეს პალატა 7 წლის მაგივრად 5 წლით არჩეულიყოს.

ასკვიტის შემდეგ ილაპარაკეს პარტიების მეთაურებმ: ბალფურმა, რედმონდმა და ბარნესმა.

კონსერვატიულ პარტიის მეთაურმა ბალფურმა სთქვა: მთავრობის გეგმა ნამდვილი სიგიჟეა. ირლანდიელებისა და სოციალისტების სასიამოვნოდ მთავრობა ცდილობს ზედა პალატის სრულ მოსპობას. მთავრობის ასეთი რევოლიუციონური მოქმედება საუკეთესო გამართლებაა ლორდთა პალატისთვის. ბალფურს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია, რომ ლორდთა პალატას შერჩეს უფლება რევოლიუციონურ კანონ პროექტების და ბიუჯეტების უარ-ყოფისა რათა ხალხს შეაძლებინოს ხოლმე თავის ნამდვილ განაჩენის დადგენა. კონსერვატიული პარტია აცხადებს, რომ იგი მედგარ წინააღმდეგობას გაუწევს მთავრობის რეზოლიუციებს.

სამაგიეროდ ირლანდიელების მეთაური რედმონდი სიხარულით მიეგება ასკვიტის რეზოლიუციებს. რედმონდმა სურვილი გამოსთქვა, რომ პირველი მინისტრი მუდამ ასეთ პირდაპირ და გაბედულ ტაქტიკას ადგეს. ასკვიტის რეზოლიუციებს 120 ხმის უმეტესობით (ე. ი. ირლანდიელებისა და მუშების ხმის უმეტესობით) დაამტკიცებს დეპუტატთა პალატა თუ ლორდთა პალატა ამის შემდეგაც დადგება ყარზე, მაშინ ასკვიტმა უთუოდ გარანტია უნდა მოსთხოვოს მეფეს, ხოლო თუ მეფე უარს ეტყვის,—ახალი არჩევნები დანიშნოს. რედმონდმა მხოლოდ ისა სთხოვა პირველ მინისტრს, რომ თუ ლორდები უარ-ჰყოფენ რეზოლიუციებს, მან აღარ შეიტანოს შარშანდელი ბიუჯეტი.

მუშების მეთაურმა ბარნესმაც დახმარება აღუთქვა მთავრობას. მართალია მუშათა პარტია საკმარისად არა სთვლის მთავრობის რეზოლიუციებს, მან წინადადებაც შეიტანა, რომ პალატამ განსაჯოს, საჭიროა ზედა პალატა, თუ არა. მაგრამ დეპუტატი-მუშები დოქტრინიორები როდი არიან და თუ უფრო რადიკალურ ღონისძიების მიღება შეუძლებელი იქნება, ისინი მთავრობის ზომიერ პროექტსაც დაუჭერენ მხარს.

---

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ნომერში, მესამე გვერდზე, შეცდომით დაბეჭდილია: ინგლისის პროგრესიული პარტიები მეცადინეობენ, რომ **ლიბერალიზმი** ძირიან-ფესვიანად ამოაგდონ“. აქ „ლიბერალიზმის“ მაგივრად უნდა ეწეროს: „**ფეოდალიზმი**“.

# ეგ. ნინოშვილის

**ძეგლის ასაგებად.**

„ჯეჯილის“ რედაქციამ მიიღო: ვარ. ჭიჭინაძის მიერ შეგროვილი რვა მან.

შემომწირველთა სია: 5 მ. ვ. ჭიჭინაძემ, ს. ქალ. ფიფინოვისამ და №№. 40 ონისიმე სვანიძემ, 25 კ. მიხეილ და ივანე თავაძემ და 10 კ. ი. გაჩეჩილაძემ.

იაკობ გოგებაშვილისაგან 25 მ.

სამ. ფირცხმლავასაგან 2 მ. 50 კ.

შემომწირველთა სია: 1 მან. 50 კაპ., მღვდელ ეპიფანე ჭაოშვილმა და 1 მ. ევ. ოჩიგავამ.

ბესარიონ გაბუნიასაგან 1 მ. 50 კ.

შემომწირველთა სია: 1 მ. სამ. გეგიძემ და 50 კ. კას. გარაყანიძემ.

მიხ. ლომჯანიძესაგან 2 მ. 50 კ.

შემომწ. სია: თითო მანეთი დავ. ქობულაშვილისა და მ. ლომჯანიძესაგან 50 კ. №№.

არ. მამულაიშვილისაგან 2 მ. 60 კ. შეგროვილი ტფ. პირველ სამოქალაქო სასწავლებელში.

„მომავალის“ რედაქციიდან 2 მ. 50 კ. შემომწირველთა სია დაბეჭდილი იყო №. 99

ლეჩხუმის მაზრაში ს. ღერჩის საზოგადოებაში შეგროვილი ლიუბა ჟანისაგან 13 მან. 10 კაპ.

შემომწ. სია: ორი მანეთი გიორგი სამსონის ძე წერეთელმა; თითო მანეთი: დათიკო ჯაფარიძემ, პაშა წერეთლისამ, სიმონ სამსონის ძე წერეთელმა, ვიქტორ ცერცვაძემ, ვიქტორ ხუსკივაძემ, ლავრენტი ლოღელიანმა, კნ. მაკრინე ახვლედიანისამ და ანთიმოს კეჭაყმაძემ; ათ-ათი შაური: ნადეჟდა ჩიქოვანისამ, უცნობმა და მათე ხვადაგიანმა; თითო აბაზი: სვიმონ ახვლედიანმა, გიორგი ასათიანმა, ლუკა ასათიანმა, არჩილ დარახველიძემ, ალექსანდრე ხვადაგიანმა და სალომე ხვადაგიანისამ; სამ-სამი შაური: ილიკო ქურდიანმა და ივანე კახიძემ; ორი შაური იადონა კახ ძემ.

ქ. ხერსონიდან ნიკოლოზ ნასრაძისაგან მიღებული იქმნა 12 მ. 81 კ.

შემომწ. სია: ნ. ნასრაძე 1 მ. 50 კ., პოდოლიანეცი 30 კაპ., ვ. ი. არჩვაძე 1 მ., კაიდარი 50 კაპ., მექი ჩხეიძე 2 მან., ლანწოკიშვილი 30 კ., გიგო რობაქიძე 1 მ., დაშკოვი 50 კ., როჟკოვი 50 კ., ალავიძე 1 მ. 50 კ., ვ. იაკინინი 50 კ., ხ. რივესი 1 მ., ზამთარაძე 1 მ. და ე. მესხი 1 მ. 50 კ. ფოსტის ხარჯი 29 კ.

ქ. ერევნიდან კ. ჭყონიასაგან 20 მან.

შემომწ. სია: 1 მ. 50 კ. უგაშვილმა. თითო მანეთი: დ. დათეშიძემ, არ შანიძემ, იაგ. კიკნაძემ, მ. ცალქაგამიამ, ზ. მაყაშვილმა, ა. ვაშაკიძემ, კ. ჯანდიერმა, დ. ხოშტარიამ, ი. ავალიანმა, მაჭავარიანმა, ნ. სარჯველაძემ, ი. ომინიძემ, № ნ., 50 კ., ა. ხოშტარიამ, ნ. პეტრენკომ, ი. ქუთათელაძემ, № 6 და კახელისაგან. 3 მ. კირ. ჭყონიამ. ფოსტის სახარჯოდ 30 კ. ილიკო ჭყონიამ.

სულ შემოწირულება შედგა 90 მ. 51 კ. დღემდე იყო 2181 მ. 56 კ. მიემატა 90 მ. 51 კ. გახდა: 2272 მ. 7 კ.

„ჯეჯილის“ რედაქცია ხელახლა სთხოვს ყველას, ვისაც წაღებული აქვთ კვიტანციის წიგნაკები ეგ. ნინოშვილის ძეგლისათვის ფულის მოსაგროვებლად დააჩქარონ და რედაქციას დაუბრუნონ.

რედ. ან. **წერეთლისა.**


# განცხადებანი

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში**

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და ხიფილავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—70)

# იყიდება

მამული 485 დესიატინა სახნავი და ტყე 6000 მანეთის ბანკის ვალით, რომელიც შეადგენს განსაკუთრებულ ნაწილს, გამიჯნულს „შეფევის“ წესით და თავისუფალს ყოველივე დავისაგან. ეს მამული სალი ჰავით, კარგი სააგარაკო ადგილებით, კარგი წყაროებით და პატარა მდინარით ხევში, მდებარეობს 5 ვერსის მანძილზედ წილკნის სადგურიდან, საქართველოს სამხედრო საფოსტო გზასა, და 18 ვერსის მანძილზე რკინის გზის მცხეთის სადგურიდან. იგი შეადგენს 200 დეს. შავს, ურწყავს, სახნავ მიწებს და 285 დეს ტყეს. ფასზე შეიძლება იკითხონ ტფილისში, რეუტოვის ქუჩაზე, სახლში № 35, სახლის პატრონთან. (3—189—3)

1909 წ. 15 ნოემბ.-დან განახლდა გამოცემა დიდ სატახტო გაზეთის 1909 წ.

# „უტრო როსიი“

(УТРО Россіи)

1910 წელში «უტრო როსიი» გამოვა გადიდებულ ფორმატით წინანდელივით დამოუკიდებლად, სერიოზულად და ცოცხლად, საზღვარ-გარეთელ დიდ გაზეთების დაგვარად. გაზეთის ტექსტში მოთავსებული იქნება სურათები, კარიკატურები და შარჟები.

განსაკუთრებული ყურადღება მიქცეულია ცნობების მისაწოდოშ განყოფილებაზე (ახალ ამბებს, ქრონიკებს, დეპეშებს). საკუთარი სააგენტო დეპეშათა და ტელეფონისა. საკუთარი კორესპონდენტები რუსეთის ყველა ქალაქებში და ევროპაში.

რედაქცია მოურიგდა სამხატვრო-სალიტ რატურო და იუმორისტიულ ჟურნალ «კრივოე ზერკალოს» გამომცემლებს. ჟურნალი ცალკე ღირს 5 მან. ხელის მოწერის ფასი «უტრო როსიი»-ზე და «კრივოე ზერკალო»-ზე ერთად წელიწადში 9 მ. ნახევ. წლით 5 მან., 3 თვით 3 მან. მარტო გაზ. «უტრო როსიი»-ზე (უჟურნალოდ) ერთი წლით 7 მან., ნახევ. 4 მან. 3 თვით 2 მან. 1 თვით 75 კაპ. შეიძლება ფულის ნაწილ-ნაწილად გადახდა ხელის მოწერის დროს 3 მან. პირველ აპრილისათვის 2 მან. პირველ ივლისისათვის 2 მან. ან თითო მანეთი პირველ შვიდ თვის ყოველ პირველ რიცხვებში.

ვინც გამოიწერს გაზეთს «უტრო როსიი»-ის და ჟურნალ «კრივოე ზერკალოს» უნდა წარადგინოს.—ხელის მოწერის დროს 4 მ. პირველ აპრილს 3 მან. და პირველ ივლისს 2 მან. ანუ 3 მანეთი ხელის მოწერის დროს და თითო მანეთი პირველ 6 თვის ყოველ პირველ რიცხვებში.

ტელეგრაფის ადრესი: მოსკოვ, «უტრო როსიი». ფოსტის ადრესი: Москва, Страстной бул., Путимковскій пер. дом. П. П. Рябушинскаго, контора газеты «Утро Россіи». (3—1)

# სანერგე ამერიკულ ვაზისა

„კლდე-უგურული“ ქუთაისში.

● **უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში** ●

1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები.

**მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები.**

აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო მუშაობის შესასწავლად. (0—6.—34)


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე,